
მუსიკის ტესტები. (პასუხები)

პედაგოგი: ნანა გეგელაშვილი




1. მუსიკა შედგება ბგერებისაგან.
2. ბგერა გვესმის ყურის საშუალებით.
3. ბგერა წარმოიქმნება საგნის რაიმე სხვა საგანზე შეხების შედეგად.
4. ბგერა არსებობს მუსიკალური და არამუსიკალური.
5. მუსიკალურია ბგერა, რომელიც ადამიანზე სასიამოვნოდ მოქმედებს.
6. არამუსიკალური ბგერები ადამიანზე არასასიამოვნოდ მოქმედებს.
7. მუსიკალური ბგერებია მაგალითად: როდესაც ადამიანი უკრავს რაიმე ინსტრუმენტზე: (მაგ: ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ვიოლინოზე, სალამურზე და ა.შ.) როცა ადამიანი მღერის, ჩიტები გალობს და აშ.
8. არამუსიკალური ბგერებია; ყვირილი, ტირილი, კაკუნი, ბრახუნი და ა,შ.
9. მელოდია შედგება ბგერებისაგან.
10. მუსიკაში არსებობს **7** ძირითადი ბგერა.
11. ეს ბგერებია: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი.
12. **7** ბგერის გარდა კიდევ ვიცით 7 ცისარტყელის ფერი, **7** დღე კვირაში, **7** ჯუჯა, მსოფლიოს **7** საოცრება, **7** ბრუნვა ქართულში და სხვა.
13. თუ **7** ძირითად ბგერას მე-8 ბგერას დავამატებთ მივიღებთ გამა დო მაჟორს.


დო რე მი ფა სოლ ლა სი დო ანუ I—II—III—IV—V—VI—VII-VIII--საფეხურები.




14. ეს ბგერები განლაგებული არიან სანოტო სისტემაზე.
15. ბგერა ჩაიწერება ნოტის საშუალებით.
16. სანამ ნოტებს გამოიგონებდნენ არსებობდა ნევმები.
17. ნევმებს ჰქონდათ მოცეკვავე კაცუნების ფორმა. როცა კაცუნა იცინოდა მელოდია მხიარული იყო და პირიქით როცა კაცუნა ტიროდა მელოდია სევდიანი. მელოდიის მიმართულებაც ამ კაცუნების სხეულის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.
18. მაჟორი- მხიარულ მუსიკალურ ხასიათს ეწოდება.
19. მინორი -სევდიან მუსიკალურ ხასიათს ეწოდება.
20. მოგვიანებით ნოტი და სანოტო სისტემა გამოიგონა იტალიელმა თეორიტიკოსმა გვიდო დ' არეცომ (გვიდო დ' არეცოელი)



21. **გვიდო დ' არეცო** იყო იტალიელი პედაგოგი და თეორიტიკოსი, რომელმაც გამოიგონა მარცვლოვანი ბგერები : დო,რე,მი,ფა,სოლ,ლა, („სი“ ბგერა მოგვიანებით შეიქმნა) და **4**-- სანოტო ხაზი, რომელიც შემდგომში დაიხვეწა და გახდა- **5**.
22. თავდაპირველად არსებობდა 6 ნოტი: დო –რე –მი –ფა –სოლ –ლა, ხოლო **„სი“** ბგერა შეიქმნა მოგვიანებით სანტუს იოანეს საპატივცემულოდ, სახელი და გვარის წინა ასოებისაგან. **„ს“ და „ი“ („სი“)**
23. **სანტუს იოანე** იყო წმინდანი, რომელიც მფარველობდა მუსიკოსებსა და მომღერლებს, რომლის სახელი და გვარის წინა ასოებიდან შეიქმნა ბგერა „სი“
24. ბგერას გააჩნია **4** თვისება.
25. **სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა და ტემბრი.**
    1. **სიმაღლე** –ბგერის ისეთი თვისებაა, რომლის დროსაც ბგერა არსებობს დაბალი და მაღალი.
    2. **სიძლიერე** –ბგერის ისეთი თვისებაა, რომლის დროსაც ბგერა შეიძლება ავიღოთ ძლიერად ან სუსტად.
    3. **გრძლიობის** –დროს ბგერის ჟღერადობა დამოკიდებულია დროზე, თუ რა ხანგრძლივობით ვაჟღერებთ მას.
    4. **ტემბრი** –არის ბგერის ჟღერადობის ხარისხი, სილამაზე.




26. სანოტო სისტემა შედგება **5** ხაზისაგან.
27. ათვლა იწყება ქვემოდან ზემოთ.
28. სანოტო სისტემაზე ნოტები იწერება: ხაზებზე, ხაზებს შუა, ხაზებს ზემოთ, ხაზებს ქვემოთ, ზედა და ქვედა დამატებით ხაზებზე.



29. სანოტო სისტემას აღებს **გასაღები**.
30. მუსიკაში გვაქვს 2 ძირითადი გასაღები.
31. **ვიოლინოს და ბანის გასაღები.**



32. **ვიოლინოს** გასაღები იწერება მეორე ხაზზე და მეორენაირად ეწოდება **„სოლ“** გასაღები. იმიტომ რომ ვიოლინოს გასაღებში მეორე ხაზზე მდებარეობს ბგერა – სოლ. .



33. **ბანის** გასაღები იწერება მეოთხე ხაზზე და მეორენაირად ეწოდება **„ფა“** გასაღები, იმიტომ რომ ბანის გასაღებში მეოთხე ხაზზე მდებარეობს ბგერა – ფა.



34. ვიოლინოს გასაღები ძირითადად აღნიშნავს მაღალ ნოტებს.
35. ბანის გასაღები ძირითადად აღნიშნავს დაბალ ნოტებს.
36. ვიოლინოს გასაღებში 5 ზირითად ხაზზე იწერება: მი-სოლ-სი-რე-ფა.



37. ვიოლინოს გასაღებში 5 ძირითად ხაზს შუა იწერება: ფა-ლა-დო-მი.



38. მანძილს ორ ერთნაირ ბგერას შორის ოქტავა ეწოდება. მუსიკაში გვაქვს 8 ოქტავა ესენია:
1) სუბ-კონტრ ოქტავა.(არასრული) 2) კონტრ ოქტავა. 3) დიდი ოქტავა 4) პატარა ოქტავა
5) პირველი ოქტავა 6) მეორე ოქტავა 7) მესამე ოქტავა. 8) მეოთხე ოქტავა. (არასრული)
ოქტავა აღინიშნება *8“-ით.



39. **ალტერაციის ნიშნებია:** ძიეზი-♯, ბემოლი- ♭ , ბეკარი-♮, დუბლძიეზი-X, დუბლბემოლი- ♭ ♭ , დუბლბეკარი-♮♮. (დუბლი ნიშნავს 2-ს)
40. **ძიეზი-♯** ნოტს ამაღლებს ნახევარი ტონით. (1/2ტ.)
41. **ბემოლი-** ♭ ნოტს ადაბლებს ნახევარი ტონით. (1/2ტ.)
42. **ბეკარი-♮** აბათილებს ძიეზს-♯ და ბემოლს- ♭ ,
43. **დუბლძიეზი-X** ნოტს ამაღლებს ერთი ტონით. (1ტ.)
44. **დუბლბემოლი-** ♭ ♭ ნოტს ადაბლებს ერთი ტონით. (1ტ.)
45. **დუბლბეკარი-♮♮** აბათილებს დუბლძიეზი-X -ს და დუბლბემოლს- ♭ ♭



46. ინსტრუმენტები **4** სახეობის არსებობს.
47. **1.კლავიშებიანი, 2.სიმებიანი, 3.ჩასაბერი, 4.დასარტყამი.**
48. ინსტრუმენტები არსებობს **2** კატეგორიის: კლასიკური და ხალხური.
49. **კლავიშებიანი კლასიკური** ინსტრუმენტებია: ფორტეპიანო, როიალი, ელექტროკლავიში, კლავესინი, კლავიკორდი და სხვა.
50. **სიმებიანი კლასიკური** ინსტრუმენტებია: ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა.
51. **ჩასაბერი კლასიკური** ინსტრუმენტებია: ფლეიტა, კლარნეტი, ჰობოი, ფაგოტი, საყვირი, ვალტორნა, ტრომბონი, ტუბა.
52. **დასარტყამი კლასიკური** ინსტრუმენტებია: ბარაბანი, თეფშები, გონგი, ქსილოფონი, სამკუთხედი, ლიტავრები.
53. ჩასაბერი კლასიკური ინსტრუმენტები იყოფა 2 ჯგუფად: ხის და ლითონის.
54. **სიმებიანი ხალხური** ინსტრუმენტებია: ფანდური, ჩონგური, ჩანგი, ქნარი, ჭიანური.
55. **ჩასაბერი ხალხური** ინსტრუმენტებია: სალამური, დუდუკი, სოინარი, გუდასტვირი, ტიკი.
56. **დასარტყამი ხალხური** ინსტრუმენტებია: დოლი, დიპლიპიტო და სხვა.
57. ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასს, ჩონგურს აქვთ 4 სიმი.
58. **არფას** აქვს 47 -სიმი და 6 -პედალი.

59. ნოტები გრძლიობის მიხედვით არსებობს: **მთელი**  რომელიც ითვლის 4-ს.


ნახევარი ითვლის -2-ს.


მეოთხედი ითვლის-1ს.


მერვედი ითვლის 1/8-ს



მეთექვსმეტედი ითვლის 1/16-ს


60. **პაუზა** შესვენების ნიშანია. გრძლიობის მიხედვით არსებობს:



მთელი პაუზა ითვლის 4-ს.



ნახევარი პაუზა ითვლის -2ს.


მეოთხედი პაუზა ითვლის -1-ს.


მერვედი პაუზა ითვლის 1/ 8-ს.



მეთექვსმეტედი პაუზა ითვლის 1/16-ს.






61. გარდა ძირითადი გრძლიობებისა, მუსიკაში იხმარება ნიშნები, რომლებიც მოცემულ ნოტს ან პაუზას გრძლიობას უმატებენ. (ადიდებენ მათ ჟღერადობას). მათ მიეკუთვნება:

1. წერტილი . რომელიც უმატებს ნოტს ან პაუზას მოცემული გრძლიობის ნახევარს:




2. ორი წერტილი .. პირველი წერტილი უმატებს მოცემული გრძლიობის ნახევარს, მეორე წერტილი კი მიღებული გრძლიობის ნახევარს:




3. ლიგა – აერთებს ერთი და იმავე სიმაღლის ნოტს, რომელიც არ იკვრება, მაგრამ ჟღერს:



4. ფერმატო – ნოტს ან პაუზას უმატებს განუსაზღვრელ გრძლიობას, დამოკიდებულია შემსრულებელზე:



62. კლავიშებიან (სიმებიანი) ინსრუმენტს რომელზეც ჩვენ ვუკრავთ ეწოდება ფორტეპიანო.



63. კლავიშებიანი ინსტრუმენტი **„ფორტეპიანო“** შედგება: კორპუსისაგან, კლავიატურისაგან, ჩაქუჩებისა და სიმებისაგან, (როდესაც ჩაქუჩი სიმს ეხება წარმოიქმნება ბგერა.), მარჯვენა და მარცხენა პედალისაგან, (მარჯვენა პედალი ხმას ამაღლებს, მარცხენა ადაბლებს) პულტი ანუ პიუპიტრი– ნოტის დასადები.

64. ფორტეპიანო შედგება 2 სიტყვისაგან: ფორტე და პიანო. (*fp*)

65. ფორტე *f* –ნიშნავს ხმამაღლა დაკვრას და სიმღერას.

66. პიანო – *p* –ნიშნავს ხმადაბლა დაკვრას და სიმღერას.

67. სტოკატო  ნიშნავს მოწყვეტით დაკვრას ან სიმღერას.

68. ლეგატო–  ნიშნავს გადაბმით დაკვრას ან სიმღერას.

69. მუსიკა არსებობს 2–გვარი: ვოკალური და ინსტრუმენტალური.

70. ინსტრუმენტალური მუსიკა სრულდება სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით.

71. ვოკალურ მუსიკას ასრულებს ადამიანი.

72. ქალის ხმებია: სოპრანო, მეცო–სოპრანო, ალტი. (მაღალი, საშუალო, დაბალი)


73. კაცი ხმებია: ტენორი, ბარიტონი, ბანი. (მაღალი, საშუალო, დაბალი)

74. კონსერვატორია – ადრე ობოლ ბავშვთა თავშესაფარს ერქვა, ამჟამად არის უმაღლესი მუსიკალური დაწესებულება.

75. თბილისის კონსერვატორია უმაღლესი მუსიკალური დაწესებულებაა, რომელიც **ვანო სარაჯიშვილის** სახელს ატარებს.



76. ვანო სარაჯიშვილი, ქართველი საოპერო მომღერალი, რომელსაც „საქართველოს ბულბულს“ უწოდებდნენ. (დაიბადა ანაგაში)



77. **ჰამლეტ გონაშვილი** მე-20 საუკუნის ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელი, (ასევე დაიბადა სოფელ ანაგაში)

78. მსოფლიო დონის ცნობილი 3 საოპერო მომღერალი მამაკაცია:




ლუჩიანო პავაროტი, ხოსე კარერასი, პლასიდო დომინგო.

79. **„კომპოზიტორი“** არის .ადამიანი, რომელიც ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებებს.

80. გაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეები, გია ყანჩელი, რევაზ ლაღიძე, მერი დავითაშვილი, ვოლფრანგ ამადეუს მოცარტი, ლუდვიგ ვან ბეთხოვენი, იოჰან სებასტიან ბახი, ფრედერიკ შოპენი, პეტრე ჩაიკოვსკი და სხვები.

81. ქუთაისის ოპერის წინ დგას გაქარია ფალიაშვილის ძეგლი.



82. ზაქარია ფალიაშვილი (1871-1933) კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი იყო. დაიბადა 1871 წლის 4 აგვისტოს ქუთაისში კათოლიკების (ე.წ. „ფრანგების“) უბანში კათოლიკური ეკლესიის გვერდით მდებარე სახლის ორი ოთახი ეკავათ . **პეტრე ფალიაშვილისა და მარიამ მესარქიშვილის** მრავალშვილიან ოჯახში, ზაქარია მესამე ბავშვი იყო. ცოლ-ქმარს 18 შვილიდან 7 სხვადასხვა დროს, მცირეწლოვან ასაკში გარდაეცვალა. ხელმოკლეობა მათი ბედისწერა იქცა, მატერიალური გაჭირვება ზაქარია ფალიაშვილის მუდმივი პრობლემა იყო. **„ქალაქ ქუთაისის მდაბიონი“** – ასე იწოდებოდა მათი ოჯახი.

მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს იყო კათოლიკური ეკლესია. მამამისი ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო ოჯახის უფროსს ჩვევად ჰქონია, ჩუმი ღიღინის დროს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ქნევა, რის გამოც ნათესავ-მეგობრები ''პეტრე ღიღინას'' ეძახდნენ.

ბავშვობაში ზაქარია და მისი ძმა კათოლიკურ ეკლესიაში გალობდნენ. ზაქარიას წკრიალა ხმა (დისკანტი) ჰქონია. იქვე სწავლობდა ორგანზე დაკვრასაც. დაწყებითი განათლებაც ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში მიიღო. მოგვიანებით ის და ივანე (ვანო) თბილისის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის წინამძღვარმა ალფონსო ხითარიშვილმა დედაქალაქში წაიყვანა.

პირველი მუსიკალური განათლება მაშინ ცნობილ პიანისტ-ორღანისტთან, **ფელიქს და ალოიზ მიზანდართან, მიიღეს.** (ალოიზ მიზანდარი საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, პირველი სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო საქართველოში)

29 წლის ასაკში სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა. რუსეთის დედაქალაქის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე სწავლის დასრულებისას, საგამოცდო კომისიამ ასე შეაფასა: **„ხუთიანი მიმატებით**''. 1903 წელს ზაქარიამ მდიდარი ვაჭრის შვილზე, **იულია უტკინაზე** იქორწინა და მასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. მალე წყვილს ვაჟიც შეეძინა, რომელსაც **ირაკლი** დაარქვეს.

შემოქმედება

სამშობლოში დაბრუნებული ზაქარია ინტენსიურ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. მისი აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა,,ქართული ფილარმონიული საზოგადოება'', სისტემატურად ატარებდა კონცერტებს თბილისსა და სხვა ქალაქებში. 1918 წლიდან ზაქარია დაინიშნა ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის **–თბილისის კონსერვატორიის დირექტორად.** ფალიაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის შეგროვება-შესწავლაში და წლების განმავლობაში **300-მდე ხალხური სიმღერა** ჩაწერა. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ქართული ოპერის 3 განსხვავებული ტიპი: მონუმენტური ოპერა-ტრაგედია **„აბესალომ და ეთერი“,** ლირიკულ-დრამატული **„დაისი“** და გმირულ-პატრიოტული — **„ლატავრა“.** . მას დიდი ღვაწლი მიუძღის ქართული ეკლესიის საგალობლების შექმნა-დამუშავებაშიც. შექმნილი აქვს მრავალი ნაწარმოები მათ შორის მნიშვნელოვანია: ,,აბესალომ და ეთერი'' რომლის დაწერას 10 წელი მოანდომა. ოპერაზე მუშაობის პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდებოდ,ა როცა მის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს, გარდაეცვალა ერთადერთი შვილი, 11წლის ირაკლი. მისმა გარდაცვალებამ ზაქარია სულიერად ძალიან გატეხა — ნერვული და გულჩათხრობილი გახდა. მთელ ღლეებს შვილის საფლავზე ატარებდა და შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა. ნაშრომი, „აბესალომი და ეთერიც" სადღაც კუთხეში მიაგდო და მიივიწყა. კომპოზიტორი **ივანე ჯავახიშვილთან** მეგობრობდა. შვილის დაღუპის შემდეგ ერთ-ერთი, ვინც ფალიაშვილს მუდამ გვერდზე ედგა და დასახევად გამზადებული „აბესალომ და ეთერის“ ნოტები ხელიდან გამოგლიჯა, სწორედ ჯავახიშვილი იყო.

დრო გავიდა და 1919 წლის 21 თებერვალს ნაწარმოების პრემიერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ავტორის დირიჟორობით, ტრიუმფით გაიმართა. აბესალომის პარტიას **ვანო სარაჯიშვილი** ასრულებდა. კომპოზიტორმა ის თავის გარდაცვლილ შვილს მიუძღვნა, წარწერით,,ძეგლად დედისერთა ყრმის ირაკლის უმანკო სულისა, მამამისის ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილისგან".

მუზეუმს აქვს საკმაოდ ლამაზი და ნიჭიერი მომღერლის, **ნადეჟდა ბუზოლლის** ფოტო. სწორედ ეს ქალბატონი მოიაზრება ბატონი ზაქარიას მუზად, რომელსაც მიუძღვნა ოპერა „დაისი“, „ლატავრა“ და სხვა მრავალი რომანსი. ოპერები დღემდე დიდი წარმატებით იდგმება თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. „აბესალომ და ეთერის” შემდეგ „დაისი” დაიდგა. დადგმა **კოტე მარჯანიშვილმა** განახორციელა.

ბოლო წლები

1933 წლიდან გაქარია ჯამრთელობამ შეაწუხა, ჯერ ხელისა და წელის ტკივილი დაეწყო და ამის გამო დირიჟორობა გაუძნელდა. მალე ლენინგრადში კომპოზიტორს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, თუმცა, სიმართლე დაუმალეს. 1933 წლის ოქტომბრის თბილ დღეს, გაქარიამ სახლის ფანჯრიდან გაიხედა და სინანულით თქვა: „ლამის აყვავდეს ყველაფერი და მე კი... ვჭკნები!". იგი ამ სიტყვებიდან მეორე დღეს გარდაიცვალა. მუზეუმში, სამუშაო ოთახში კარადის თავზე შემოდგმული საათი კომპოზიტორის გარდაცვალების დროს უჩვენებს..

გაქარია ფალიაშვილი დაკრძალულია მისივე სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში.(მას ანდერძი არ შეუსრულეს — სურდა, შვილის, ირაკლის გვერდით დაეკრძალათ. მოგვიანებით კომპზიტორის ქანდაკება ჩამოისხა, რომლის ავტორი მოქანდაკე **მერაბ ბერძენიშვილია**. „ალბათ, როგორი ბედნიერი იქნებოდა გაქარია, რომ იცოდეს, რომ საქართველოს დღევანდელი **ჰიმნი „თავისუფლება“** სწორედ მის მუსიკაზე შეიქმნა, რომელიც ჰიმნად კომპოზიტორმა **იოსებ კეჭაყმაძემ** დაამუშავა“.

გაქარია ფალიაშვილის სახლში დღესაც ინახება მისი კუთვნილი ფრაკი, რომელიც დირიჟორობის დროს ეცვა. იქვეა მისი საფულე, თმის საკრეჭი, სათვალე და სხვა პირადი ნივთები. მაგიდაზე ფალიაშვილების ოჯახის სამოვარი დგას, კარადაში კი მათი კუთვნილი ვერცხლის ჭურჭელია.

■ მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი (1937-წლიდან), (ქუთაისის საოპერო თეატრი მელიტონ ბალანჩივაძის სახელობისაა) რესპუბლიკის რამდენიმე სამუსიკო-სასწავლო დაწესებულება, ქუჩები — მოსკოვში, თბილისში, ქუთაისში. თბილისსა და ქუთაისში გახსნილია ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმები, დაწესებულია ფალიაშვილის სახელობის პრემია. ფალიაშვილის ფოტო ქართულ ვალუტაზეც მოხვდა, დაიბეჭდა ქაღალდის ორლარიანზე.

გაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ჩვენი ეროვნული ღირსების ერთ-ერთი სიმბოლო და ქართული ეროვნული კულტურის ერთ—ერთი უდიდესი მონაპოვარია. ამიტომაც არის, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომელიც სამართლიანად ატარებს მის სახელს, ყოველი სეზონი იხსნება სწორედ მისი ოპერით **"აბესალომ და ეთერი".**

83. მოცარტი -ავსტრიელია, ბეთჰოვენი-გერმანელი, ბახი -გერმანელი, ჰაიდნი-ავსტრიელია, ჩაიკოვსკი-რუსი კომპოზიტორია.

84. ფალიაშვილი, დოლიძე, ანდრია და მელიტონ ბალანჩივაძეები, რევაზ ლაღიძე, სულხან ცინცაძე, გია ყანჩელი, მერი დავითაშვილი, ინოლა გურგულია, ჯანსუღ კახიძე ქართველები არიან.

85. **ტაქტი** არის მუსიკალური ნაწარმოების ყველაზე მცირე ნაწილი.

86. **ზომა** არის გასაღებთან დაწერილი რიცხვები (მაგ 2/4 3/4 4/4 ან C) რომელიც განსაზღვრავს თუ რა გრძლიობის ნოტები უნდა იყოს ტაქტში. მაგ: 2/4 -ზე ვითვლით 2-ს, ¾-ზე 3-ს, 4/4-ზე 4-ს, C-ზე 4-ს.



87. **მელოდია** - ეს არის განვითარებული, დასრულებული მუსიკალური აზრი, რომელიც შედგება ბგერებისაგან.გადმოცემული ერთ ხმაში ბგერების მონაცვლეობით,

88. **ჰარმონია**-ნიშნავს შეთანხმებას.

89. **რეგისტრი** -არსებობს: მაღალი, საშუალო და დაბალი.

90. **პაუზა** -შესვენების ნიშანია. პაუზა როგორც ბგერები არსებობს: მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და ა.შ.

91. **წკირები ანუ შტილები** (ჯოხები)--პირველიდან მესამე ხაზამდე დაწერილ ნოტებს ჯოხი უკეთდება მარჯვნივ ზემოთ. მესამე ხაზს ზემოთ დაწერილ ნოტებს ჯოხი უკეთდება ქვემოთ, ხოლო მე_3 ხაზზე დაწერილ ნოტს ჯოხი უკეთდება როგორც ზემოთ ისე ქვემოთ.

92. **კონსონანსი-** ნიშნავს კეთილხმოვანებას, **დისონანსი-** ნიშნავს არაკეთილხმოვანებას.



93. **პანი** -- ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ტყისა და მინდვრის ღმერთი, მწყემსების, ცხოველების, ფრინველების მფარველი იყო, ადამიანის მსგავსი ჩლიქებიან -თმებიან-კუდიანი არსება, ხალხს შიშის ბარს სცემდა, ამიტომ სიტყვა **„პანიკური შიში”** წარმოსდგება პანიდან. "პან"-- ნიშნავს ყველას. (ბერძნების აზრით მას ყველა ღმერთის სიყვარულის გამო ეწოდება პანი). ბერძნების წარმოდგენით პანი მხიარული ღმერთია, უკრავდა **სტვირზე**. სტვირი არის ყველა ჩასაბერი ინსტრუმენტის წინაპარი. (ულამაზესი სირინგა გაურბოდა პანს, ის ის იყო პანი უნდა წვდომოდა სირინგას, რომ სირინგა ღმერთმა გადააქცია ლერწმად, დაღონებულმა პანმა ლერწმიდან სტვირი (სალამური) გააკეთა და სევდიან მელოდიებს უკრავდა,). (ოჩოპინტრეს მსგავსი არსება)




94. **აპოლონი** -- ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ზევსის ვაჟი სინათლის, სილამაზისა და ხელოვნების ღმერთი იყო, რომელიც კითარაზე უკრავდა და მღეროდა. კითარა სიმებიანი ინსტრუმენტების წინაპარი იყო.



95. ორფეოსი-- თრაკიელი პოეტი და მუსიკოსი იყო უკრავდა ქნარზე, აპოლონმა მას აჩუქა ოქროს ლირა, ის ლეგენდის მიხედვით მონაწილეობდა იაზონის მეთაურობით არგონავტების მოგზაურობაში, კოლხეთის სამეფოში, ოქროს საწმისის დასაუფლებად. ორფეოსმა თავისი დაკვრით მოხიბლა სირინოზები (ბღვის ქალთევზები) და არგონავტები სიკვდილს გადაარჩინა. ცოლად ჰყავდა მშვენიერი ნიმფა ევრიდიკე, რომლის დაღუპვის შემდეგ ორფეოსი ჰადესის სამეფოში (საიქიოში, მიწისქვეშეთში) ჩავიდა, რომ ცოლი ეხსნა, ქნარზე დაკვრით ფურიებიც (ბოროტი სულები) მოხიბლა, მაგრამ პირობა ვერ შეასრულა და ცოლი სამუდამოდ დაკარგა, ქნარზე სიმები დაუწყდა, ხმა დაეკარგა და დარდისაგან გარდაიცვალა. მუზებმა რომელთა მსახურიც იყო ორფეოსი, ოლიმპოს მთაზე (ღმერთების სამფლობელოში) მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი.



96. „პიგმალიონი და გალათეა“ -- ამ მითის მიხედვით პიგმალიონი კვიპროსის მეფე იყო, მან შექმნა მშვენიერი გალათეას ქანდაკება, რომელიც უზომოდ შეუყვარდა და ღმერთს ევედრებოდა მისი ქმნილებისათვის სული შთაებერა, მართლაც ღმერთმა ისმინა პიგმალიონის თხოვნა და გალათეას სული შთაჰბერა, რის შემდეგაც პიგმალიონი დაქორწინდა გალათეაზე და ღრმა მოხუცებულობამდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ამ ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“ ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით. დღესაც თავის ქმნილებაზე შეყვარებულ ადამიანებს ხუმრობით პიგმალიონს ეძახიან.



97. **ძმები ლუმიერები** კონომოტოგრაფიის ფუძემდებლები იყვნენ. (კინომწარმოებლები) მათი ფილმის ჩვენების დროს, როდესაც ეკრანზე მატარებელი გამოჩნდა მოძრავი კადრი იმდენად რეალური იყო, რომ შეშინებული ხალხი დარბაზის გასასვლელისაკენ გაიქცა.

98. **„შენ ხარ ვენახი“** ღვთისმშობლის საგალობლის შემქმნელია დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟიშვილი დემეტრე პირველი.

99. **„საუნტრეკი“**–ანუ კინომუსიკა.

100. **„ჩაკრულო“** – ქართული (ქართლ-კახური) კლასიკური, საგუნდო, პოლიფონიური, სუფრული სიმღერა როგორც კაცობრიობის ერთ–ერთი შედევრი, კოსმოსში გაიგზავნა . ბურდონული მრავალხმიანობის (სამხმიანობის) ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია. ჩაკრულოს პირველი ჩანაწერი გააკეთა ბაქარია ფალიაშვილმა სოფელ ვაჩნაძიანში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი). 2001 წელს ქართული პოლიფონია იუნესკოს მიერ აღიარებულ იქნა, როგორც კაცობრიობის გეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი; „ჩაკრულო“ შეივიდა იუნესკოს არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში.

1977 წელს გაშვებულ ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურებზე „ვოიაჯერ-1-სა“ და „ვოიაჯერ-2-ზე“ მოთავსებულ ორ იდენტურ გრამფირფიტაზე ჩაწერილ პროგრამაში „დედამიწის ხმები“, რომელიც განკუთვნილია დედამიწისგარე ცივილიზაციის წარმომადგენლებისათვის და მიზნად ისახავს წარმოდგენა მისცეს მათ დედამიწისა და კაცობრიობის შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად (წყლის ხმაური, ბავშვის ტირილი, მისალმება 60 ენაზე და სხვ.) შეტანილია ჩაკრულოც (ილია ბაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული ვერსია).

101. **ლირის** გამოსახულება მუსიკის ემბლემადაა საყოველთაოდ აღიარებული.

102. ორ ბგერას შორის მანძილს **ინტერვალი** ეწოდება, მუსიკაში გვაქვს 8 ინტერვალი . (ნახევარი აღინიშნება 1/2)

103. **ინტერვალი** ლათინური სიტყვაა და 2 ბგერას შორის მანძილს ნიშნავს. მუსიკაში გვაქვს 8 ინტერვალი. ინტერვალის ქვედა ბგერას ფუძე ეწოდება, ზედა ბგერას - მწვერვალი.

ინტერვალებია:

1. **პრიმა--** არსებობს წმინდა, შეიცავს 0 ტონს. აღინიშნება წმ1.

2. **სეკუნდა** --პატარა შეიცავს 1/2-ს. დიდი 1-ს. აღინიშნება პ2. დ2.
3. **ტერცია**-- პატარა შეიცავს 1-1/2-ს. დიდი 2-ს. აღინიშნება პ3. დ3.
4. **კვარტა**--- არსებობს წმინდა. შეიცავს 2-1/2 ტონს. აღინიშნება წმ4.
5. **კვინტა**--- არსებობს წმინდა. შეიცავს 3-1/2 ტონს. აღინიშნება წმ5.
6. **სექსტა**--- პატარა შეიცავს 4-ს. დიდი 4-1/2-ს. აღინიშნება პ6. დ6.
7. **სეპტიმა**-- პატარა შეიცავს 5-ს. დიდი 5-1/2-ს. აღინიშნება პ7. დ7.
8. **ოქტავა** --- არსებობს წმინდა. შეიცავს 6 ტონს. აღინიშნება წმ 8.



104. „მონო“ 1-ს, "ქორდი“ სიმს ნიშნავს.
105. „ტეტრაქორდი“- ბერძნული სიტყვაა და 4 სიმს ნიშნავს.
106. გამაში 2 ტეტრაქორდია: ქვედა და ზედა.
107. მაგ: დო მაჟორში ქვედა ტეტრაქორდის ბგერებია: დო, რე, მი, ფა, ზედა ტეტრაქორდის: სოლ , ლა, სი, დო.

1 2 3 4 5 6 7 8 -- საფეხურები.



დო რე მი ფა სოლ ლა სი დო -- ბგერები.

108. გამაში მყარი საფეხურებია: 1, 3, 5, 8. მაგ: დო მაჟორშიმყარი ბგერებია: დო-მი-სოლ-დო.
109. გამაში მერყევი საფეხურებია: 2, 4, 6, 7. მაგ: დო მაჟორშიმერყევი ბგერებია: რე-ფა-ლა-სი.
110. გამის მთავარი საფეხურებია: T- S –D ტონიკა, სუბდომინანტა, დომინანტა, ანუ I-IV-V-საფეხურები)

T 5/3-ტონიკური სამხმოვანება, S 5/3 -სუბდომინანტური სამხმოვანება და D 5/3- დომინანტური სამხმოვანება ანუ I –IV--V საფეხურებიდან აგებული სამხმოვანებები. მაგ. დო მაჟორში გამის მთავარი საფეხურებია: (T 5/3-ტონიკური სამხმოვანება:


(დო-მი-სოლ) 1 საფეხური.) (S 5/3 -სუბდომინანტური სამხმოვანება: (ფა-ლა-დო). IV საფეხური) და (D 5/3-დომინანტური სამხმოვანებაა: (სოლ-სი-რე) Vსაფეხური.)

111. სამხმოვანება -(აკორდი) სამ ბგერას ტერციებად დალაგებულს სამხმოვანება ეწოდება.

სამხმოვანებას აქვს 2 შებრუნება: სექსტაკორდი და კვარტსექსტაკორდი.

112. სამხმოვანება არსებობს 4 სახის: მაჟორული, მინორული. გადიდებული. შემცირებული.

1. მაჟორული სამხმოვანება (მაჟ. 5/3) შედგება- დიდი და პატარა ტერციისაგან; ანუ დ3+პ3
2. მინორული სამხმოვანება (მინ. 5/3) შედგება -პატარა და დიდი ტერციისაგან; ანუ პ3+დ3
3. გადიდებული სამხმოვანება (გად.5/3) შედგება -ორი დიდი ტერციისაგან; ანუ დ3+დ3
4. შემცირებული სამხმოვანება (შემც.5/3) შედგება -ორი პატარა ტერციისაგან. ანუ პ3+პ3




მაჟორული მინორული გადიდებული შემცირებულ

სამხმოვანებას აქვს 2 შებრუნება:

სექსტაკორდი(6) და კვარტსექსტაკორდი 6/4)

მაჟ.6 შედგება - პ.3 +წმ.4 და მაჟ. 6/4-შედგება - წმ. 4 + დ.3



სამხმოვანება5/3 სექსტაკორდი 6 კვარტსექსტაკორდი 6/4



113. **მუზა არსებობს 9.**

1. **ევტერპე**–მუსიკის მუზა.
2. **ერატო**–სიყვარულის მუზა
3. **თალია**–კომედიის მუზა.
4. **კალიოპე**–სიმღერისა და პოეზიის მუზა,
5. **კლიო**–ისტორიის მუზა,
6. **მელპომენე**– თეატრის ტრაგედიის მუზა,
7. **ტერფსიქორე**– ცეკვის მუზა.
8. **პოლიჰიმნია**– ჰიმნების მუზა.
9. **ურანია**–ასტრონომიის მუზა.

114. **ევტერპე** –არის მუსიკის მუზა.

115. **ბალერონი** –კაცი ბალეტის მოცეკვავე.

116. **ბალერინა** – ქალი ბალეტის მოცეკვავე


117. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი, ნიღბების თეატრი, თოჯინების თეატრი, მოზარდ–მაყურებელთა თეატრი.

118. ოპერაში სპექტაკლის შექმნისათვის საჭიროა: სცენარი, რეჟისორი, დირიჟორი, სოლისტები, მომღერალთა გუნდი, მოცეკვავეთა დასი, ორკესტრი, დეკორატორი მხატვარი, კოსტუმების დიზაინერი, გრიმიორები, გამნათებელი , სუფლიორი, (მოკარნახე) და სხვა


119. ოპერაში შინაარსი გადმოიცემა სიმღერით.

120. ბალეტში, შინაარსი გადმოიცემა ცეკვით.

121. დრამატულ თეატრში ”შინაარსი გადმოიცემა საუბრით, ერთმანეთთან დიალოგით, (ჩართულია როგორც ცეკვა ასევე სიმღერა.)



122. ანსამბლი **„Beatles” (ბიტლზი)** ინგლისურად „ხოჭოებს“ ნიშნავს. ლივერპულელი ოთხეული: ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ხარისონი, რინგო სტარი. ბიტლზის მუსიკა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან დღემდე პოპულარულია.



123. **იოჰან სებასტიან ბახი** -ბაროკოს ეპოქის გერმანელი კომპოზიტორი და მუსიკოსი, აიზენახში დაიბადა 1685 წლის 21 მარტს, მშობლები მუსიკოსები იყვნენ. ბახი მათი მე-8 უმცროსი ვაჟი შვილი იყო და სავარაუდოდ მამისგან ისწავლა ვიოლინოზე დაკვრა და მუსიკის თეორიის საფუძვლები. 10 წლის ასაკში ბახი დაობლდა და მომდევნო ხუთი წელი უფროს ძმასთან, იოჰან კრისტოფ ბახთან ცხოვრობდა, რომელიც ორდრუფის წმ. მიქაელის ეკლესიის ორღანისტი იყო. პატარა იოჰანიც იქ სწავლობდა, ასრულებდა და იწერდა მუსიკას, მისი ძმის მუსიკის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალული ჰქონდა, რადგან ნოტები ძალიან ძვირფასი და გასაიდუმლოებული იყო, ხოლო ცარიელი სანოტო ფურცლები — ძვირი. ძმისგან შეისწავლა დაკვრა კლავიკორდზე. (კლავიშებიანი ინსტრუმენტი) მანვე გააცნო იოჰანს იმ დროის უდიდესი კომპოზიტორების ნამუშევრები, მაგრამ აკრძალული ჰქონდა მათი შეხება ძმის ნებართვის გარეშე, იოჰან სებასტიანი მაინც იპარებოდა ხოლმე ძმის ოთახში, სადაც ნოტები ჰქონდა ძმას დამალული და ჩუმად იწერდა მათ , ერთხელაც ძმამ შეუსწრო ნოტების გადაწერის დროს და 6 თვის ნამუშევარი დაუხია, მაგრამ დრო გავიდა და იოჰან სებასტიანი უფრო დიდი მუსიკოსად აღიარეს ვიდრე მისი ძმა იოჰან კრისტოფი. იოჰან სებასტიან ბახი მუშაობდა ეკლესიებში და დიდებულთა კარზე. იქორწინა მარია ბარბარა ბახზე, თავის ბიძაშვილზე, რომელიც 1720 წელს 7 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა. მომდევნო წელს გაიცნო ანა მაგდალენა ვილკე, რომელიც ბახზე 16 წლით უმცროსი იყო ძალიან ნიჭიერი სოპრანო, რომელიც კეთენის კარზე მღეროდა. ისინი 1721 წლის 3 დეკემბერში დაქორწინდნენ. წყვილს ცამეტი შვილი შეეძინა, რომელთაგანაც ზრდასრულ ასაკამდე მხოლოდ შვიდმა მიაღწია. ბახს სულ 21 შვილი ყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელს დაიბადნენ და მხოლოდ 130 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ, ბახი და ჰენდელი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. 1719 წელს ბახმა 35 კილომეტრი გაიარა კეთენიდან ჰალესკენ, რათა ჰენდელს შეხვედროდა, თუმცა, ჰენდელი ქალაქიდან უკვე წასული დახვდა. 1730 წელს ბახის უფროსი ვაჟი, ვილჰელმ ფრიდმანი ჰალეში ჩავიდა და ჰენდელი თავიანთ ოჯახში, ლაიფციგში დაპატიჟა, თუმცა ვიზიტი არ შედგა.

თვალის ოპერაციის გართულების შედეგად იოჰან სებასტიან ბახი 1750 წელს, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბახი თავდაპირველად ლაიფციგში, წმ. იოანეს ძველ სასაფლაოზე დაკრძალეს. დაახლოებით 150 წლის განმავლობაში მისი საფლავი აღნიშნული არ იყო. 1894 წელს მის ნეშტს მიაკვლიეს და წმ. იოანეს ეკლესიაში გადაასვენეს. ეს შენობა II მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა მიერ წარმოებული დაბომბვის დროს მთლიანად დაინგრა, ამიტომ 1950 წელს ბახის ნეშტი ამჟამინდელ განსასვენებელში, წმ. თომას ეკლესიაში გადაიტანეს. მოგვიანებით, კვლევამ ეჭვქვეშ დააყენა, რეალურად ეკუთვნის თუ არა ამ საფლავში მოთავსებული ნეშტი ბახს.

როგორც უდიდესი კლასიკოსი კომპოზიტორი ბახი 100 წლის შემდეგ აღიარეს.

ბახს შექმნილი აქვს უამრავი ნაწარმოები: პასიონები და ორატორიები, კანტატები, საეკლესიო მუსიკა, ნაწარმოებები კლავესინის და კლავიკორდისთვის მუსიკა კლავიშიანი ინსტრუმენტებისთვის, ნაწარმოებები ორღანისთვის, კარგად ტემპერირებული კლავირი, წიგნები 1 და 2 . თითოეული წიგნი შედგება 24 პრელუდიისა და ფუგისგან, ყოველი მაჟორული და მინორული ტონალობისთვის, ინვენციები, გოლდბერგის ვარიაციები, საორკესტრო და კამერული მუსიკა, სავიოლინე კონცერტები, საკლავირო კონცერტები და საორკესტრო სიუიტები, პრელუდია ფუგეები, მესა სი მინორი და სხვა.


124. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი -



ავსტრიელი კომპოზიტორი „ბავშვი საოცრება“ დაიბადა ზალცბურგში (27 იანვარს 1756, 5 დეკემბერი 1791 დირიჟორი ლეოპლდ მოცარტისა და ანა მარია ჰერტლის ოჯახში, მან პირველი გაკვეთილები ვიოლინოს, ფორტეპიანოს და კომპოზიციაში მამისგან მიიღო. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით, ოთხი წლის ასაკში მან უკვე რამდენიმე პატარა მუსიკალური ნაწარმოები შეთხზა. ხუთი წლის მოცარტი უკვე უკრავდა ფორტეპიანოზე, ექვსისა კი სერიოზულ ნაწარმოებებს ასრულებდა. ექვსი წლის ასაკში იგი შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე და ფორტეპიანოზე. მოცარტის და ნანერლი და თვით მოცარტი 1762 წლიდან უკვე მართავდნენ კონცერტებს ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ბავშვების დიდმა წარმატებამ მიუხედავად კარზე მტკიცედ გადააწყვეტინა ლეოპოლდ მოცარტს, რომ საჭირო იყო მოცარტის უფრო დიდ ასპარეზზე გაყვანა. მან 1763 წელს მთელი ოჯახით, დიდი მოგზაურობა დაიწყო, რომელიც სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ისინი გაემგზავრნენ

დასავლეთ ევროპაში ძირითადად კი იტალიაში, იქ მოცარტი გახდა საქვეყნოდ ცნობილი გენიოსი. ეს იყო მათი პირველი მოგზაურობა ევროპაში. ამ ტურნეში შედიოდა ევროპის მრავალი დიდი ქალაქი: მიუნხენი, აუგსბურგი, ლუდვიგსბურგი, ჰაიდელბერგი, მაინცი, ფრანკფურტი, კობლენცი, კელნი, ბრიუსელი, პარიზი, ვერსალი, ლონდონი, ამსტერდამი, ლიონი, ჟენევა, ბერნი, ციურიხი, ულმი და ისევ მიუნხენი, სადაც ბავშვები საგრაფო კარებზე და მუსიკალურ აკადემიებში მუზიცირებდნენ. ამ მოგზაურობის დროს შეიქმნა პირველი სონატები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და ასევე პირველი სიმფონია Es-Dur. იგი ლონდონში ეცნობა იტალიურ ოპერას და სიმფონიას. გალცბურგში დაბრუნების შემდეგ, სხვა კარის მუსიკოსებთან ერთად იგი ქმნიდა პირველ ოპერას. 1782 წლის 4 აგვისტოს მოცარტი ქორწინდება კონსტანცა ვებერზე, რომელიც მან მანჰაიმში ყოფნის დროს გაიცნო. ექვსი შვილისგან, რომელიც მათ გაუჩნდათ გადარჩა მხოლოდ ორი, კარლ ტომასი და ფრანც ქსავერ ვოლფგანგი. ჩეხმა კომპოზიტორმა მოცარტს „მზის სხივი მუსიკაში“ უწოდა. „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერიდან რამდენიმე კვირის შემდეგ 20 ნოემბერს იგი ლოგინად ჩავარდა და 1787 წელს 5 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი ამ დროს 35 წლის იყო. მისი სიკვდილის კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. ციებცხელება იყო პირველი დიაგნოზი, რომელიც მიცვალებულის პირველი შემოწმების შემდეგ დაუდგინეს. ლეგენდის დონეზეა აგრეთვე ვერსია, რომ იგი მისმა თანამედროვე კოლეგამ, კომპოზიტორმა ანტონიო სალიერიმ მოკლა (მოწამლა) ამას მოწმობს მოცარტის ბოლო შეხვედრა თავის მეუღლესთან, კონსტანცასთან სადაცის ის ეუბნება მას , რომ იგი დარწმუნებულია იმაში, რომ მოწამლეს. მოცარტი დასაფლავებული იქნა ვენაში, წმ. მარქსერის სასაფლაოზე. დაწერილი აქვს 40 მდე ოპერა, საფორტეპიანო ნაწარმოებები, სონატები, სიმფონიები, მოცარტის ნაწარმოებებ

იდან ცნობილია ოპერები: „ფიგაროს ქორწინება“, „ჯადოსნური ფლეიტა“, „დონ ჟუანი“, საფორტეპიანო ნაწარმოები „თურქული მარში“, „ მე-40 სიმფონია“ , „რექვიემი“ და სხვა.



125. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი—

გერმანელი კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა 1770. 17დეკემბერს გერმანიის ქალაქ ბონში— გარდაიცვალა 26 მარტი, 1827 წელს) —იგი საკვანძო ფიგურაა მუსიკის კლასიკურიდან რომანტიკულ პერიოდში და დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ და გავლენიან კომპოზიტორად. მუსიკალური ნიჭი ადრეულ ასაკში გამოავლინა და მისი პირველი მასწავლებლები მამამისი, იოჰან ვან ბეთჰოვენი და დირიჟორი და კომპოზიტორი კრისტიან გოტლობ ნეფე იყვნენ. მისი სწავლის რეჟიმი, რომელიც ხუთი წლის ასაკიდან დაიწყო, თავიდანვე სასტიკი და ინტენსიური იყო, რომელიც ხშირად ცრემლებითაც მთავრდებოდა. ხშირი იყო არარეგულარული გაკვეთილები გვიან ღამით, როცა პატარა ბეთჰოვენს საწოლიდან გამოათრევდნენ ხოლმე დასაკრავად. მისი მუსიკალური ტალანტი პატარა ასაკიდანვე აშკარა იყო. ბეთჰოვენის მამა რომლისთვისაც ცნობილი იყო ლეოპოლდის ვაჟის და ქალიშვილის (ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის და ნანერლის ნიჭის შესახებ) ცდილობდა საკუთარი შვილიც ვუნდერკინდად წარმოეჩინა. პირველი საჯარო გამოსვლის აფიშებზე, 1778 წლის მარტში, ბეთჰოვენის ასაკად 6 წელი იყო მითითებული, თუმცა ის სინამდვილეში 7 წლისა იყო. 21 წლის ასაკში ბეთჰოვენი ვენაში გადავიდა, სადაც კომპოზიციის შესწავლა იოზეფ ჰაიდნთან დაიწყო და ვირტუოზი პიანისტის რეპუტაციაც მოიპოვა. ბეთჰოვენის პირად ცხოვრებას თან

ახლდა კლასობრივი უთანასწორობით გამოწვეული სირთულეები. 1801 წლის დასასრულს ის შეხვდა ჯულიეტა გუიჩარდის, ბრუნსვიკების ოჯახში, სადაც ჟოზეფინა ბრუნსვიკს ფორტეპიანოს ასწავლიდა. ჯულიეტას მიმართ სიყვარულს ახსენებს წერილში ახალგაზრდობის მეგობრის, ფრანც ვეგელერის მიმართ, მაგრამ მასზე დაქორწინების შანსს გამორიცხავს კლასობრივი განსხვავების გამო. მოგვიანებით, გუიჩარდის მიუძღვნა საფორტეპიანო სონატა №14, ამჟამად „მთვარის სონატად“ ცნობილი. დაახლოებით 25-27 წლის ასაკიდან მისი სმენა გაუარესდა და ცხოვრების ბოლო ათწლეულში თითქმის სრულიად ყრუ იყო. 1811 წელს შეწყვიტა სადირიჟორო საქმიანობა და საჯაროდ შესრულება, მაგრამ განაგრძო კომპოზიცია.1804 წელს ჟოზეფინა ბრუნსვიკის მეუღლე, გრაფი იოზეფ დეიმი გარდაიცვალა, რის შემდეგაც მისი ურთიერთობა ბეთჰოვენთან გაღრმავდა. ბეთჰოვენმა ქალს 15 სასიყვარულო წერილი მისწერა 1804 წლის ბოლოდან 1809-10 წლამდე. გრძნობები აშკარად ორმხრივი იყო, მაგრამ ჟოზეფინა იძულებული გახდა მისგან თავი შორს დაეჭირა 1807 წლიდან მოყოლებული. მიზეზად მან თავისი „მოვალეობა“ და არისტოკრატ შვილებზე მეურვეობის დაკარგვის საშიშროება დაასახელა დაბალი წრის წარმომადგენელზე ქორწინების შემთხვევაში.

სხვადასხვა წყაროები აჩვენებს, რომ ბეთხოვენი არაფრად აგდებდა ხელისუფლებას და სოციალურ სტატუსს. იგი წყვეტდა ფორტეპიანოზე დაკვრას, თუ მსმენელები ერთმანეთში საუბარს იწყებდნენ და მთელ ყურადღებას მას არ უთმობდნენ. საღამოებზე, უარს ამბობდა დაკვრაზე, თუ ამას მოულოდნელად, წინასწარ შეუთანხმებლად სთხოვდნენ.

ბეთჰოვენის ცხოვრებას ართულებდა სმენის ბრდაღი დაქვეითება და ქრონიკული მუცლის ტკივილი, რომელიც 20 წლის ასაკიდან აწუხებდა. როგორც ჰაილიგენშტატის ანდერძიდან ჩანს, თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა. იოლად ბრაზდებოდა ხოლმე. მიუხედავად ყველაფრისა, ჰყავდა ერთგულ მეგობართა წრე, რომელთაც მისი ხასიათის სიძლიერე იზიდავდა. ცხოვრების უკანასკნელ წლებში სირთულეებთან გამკლავებაში სწორედ ისინი ეხმარებოდნენ.

1811 წელს კომპოზიტორი სერიოზულად გახდა ავად, განიცდიდა ძლიერ თავის ტკივილებს და მაღალ სიცხეს. ექიმის რჩევით, მან ექვსი კვირა გაატარა ბოჰემიის საკურორტო ქალაქ ტეპლიცში.
იგი გარდაცვალებამდე ვენაში ცხოვრობდა. დარჩენილი თვეების განმავლობაში ბეთჰოვენი, მეტწილად, ლოგინად იყო ჩავარდნილი და მას ბევრი მეგობარი სტუმრობდა. იგი 1827 წლის 26 მარტს, 56 წლის ასაკში, ჭექა-ქუხილის დროს გარდაიცვალა. მისი მეგობარი, ანსელმ ჰიუტენბრენერი, რომელიც ამ დროს მასთან იყო, იხსენებს, რომ სიკვდილის მომენტს ძლიერი გაელვება ახლდა. გაკვეთამ ღვიძლის მნიშვნელოვანი დაზიანებები გამოავლინა, რომლის მიზეზიც მძიმე ალკოჰოლიზმი შეიძლება ყოფილიყო.

ბეთჰოვენის დაკრძალვის პროცესიას დაახლოებით 20,000 ადამიანი დაესწრო. ფრანც შუბერტს, რომელიც მომდევნო წელს გარდაიცვალა, ერთ-ერთი ჩირაღდანი მიჰქონდა. ბეთჰოვენი ვერინგის სასაფლაოზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას დაკრძალეს წმინდა სამების ტაძარში გამართული რექვიემის შემდეგ. 1862 წელს, გამოკვლევის მიზნით, მისი ნეშტის ექსჰუმაცია მოხდა, ხოლო 1888 წელს ის ვენის ცენტრალურ სასაფლაოზე გადაასვენეს. გარდაცვალების ზუსტი მიზეზი კამათის საგანია. ალკოჰოლური ციროზი, სიფილისი, ინფექციური ჰეპატიტი, ტყვიით მოწამლვა, მეგობრებს და სტუმრებს, მის სიკვდილამდე და მას შემდეგაც, სუვენირად მისი თმები მიჰქონდათ.


მისი ყველაზე აღიარებული ნამუშევრების დიდი ნაწილი კომპოზიტორის ცხოვრების ბოლო 15 წლის განმავლობაში, ე.წ. გვიანდელ პერიოდში შეიქმნა. მისი ცნობილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მე-5 და მე-9 სიმფონიები„ „ელიზეს“, გაზუნა“ ,„მთვარის სონატა“, 5 საფორტეპიანო კონცერტი, 1 სავიოლინე კონცერტი, 32 საფორტეპიანო სონატა, 16 სიმებიანი კვარტეტი, საზეიმო მესა და ოპერა „ფიდელიო“. მასვე ეკუთვნის სიმფონიები, უვერტიურები, კონცერტები, ტრიოები, კვინტეტები, საფორტეპიანო სონატები, ვარიაციები, საგუნდო და ვიკალური ნაწარმოებები, სონატები ფორტეპიანოს ვიოლინოსა და ჩელოსათვის და სხვა.




126. **მერი დავითაშვილი** - კომპოზიტორი და პედაგოგი, (1924 –2014) დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. მისი ხელმძღვანელი პროფესორი ანდრია ბალანჩივაძე იყო. 1968–92 წლებში დავითაშვილი იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. მისი ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდებოდა საბავშვო მუ ბონშიიკის კვირეულები. 1973 წლიდან კი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. დაწერილი აქვს ორი საბავშვო ოპერა - „ქაჯანა“ და „ნაცარქექია“, მრავალი საბავშვო სიმღერა, მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი და ნახატი ფილმებისათვის „მანანა“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“ და სხვა. ასევე სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის და სხვა. 1997 წელს მერი დავითაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. მერი დავითაშვილის „საბავშვო სიმღერების კრებულს“ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ადარებდნენ.




ინოლა გურგულია - (1929 —1977) — ქართველი კომპოზიტორი, პოეტი, მომღერალი. დაიბადა 1929 წელს. გიტარაზე დაკვრა მამიდამ ასწავლა, ჩონგურსა და ფანდურზე — ძიძამ. მან დაწერა სიმღერები: გიტარა, სიზმარია, ღიმილი მინდა, მადლობელი ვარ, უშენოდ და სხვები; ასევე, 15 საბავშვო სიმღერა, მათ შორის: საქანელა, კარუსელი, გვირილა, განი განდაგანა, ოღელია-დელა და ა.შ. 1952 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. აქვე მან გიული დარახველიძესა და მედეა სიხარულიძესთან ერთად დააარსა ქალთა ვოკალურ-საკრავიერი ტრიო „სამაია“, რომელიც ასრულებდა გურგულიას მიერ (ხშირად თავისსავე ლექსზე) დაწერილ სიმღერებს. 1960-იან წლებში ის გადაიღეს რამდენიმე ფილმში, სადაც მისი სიმღერებიც ჟღერს. სიცოცხლის განმავლობაში მას არ ჩაუწერია არცერთი ოფიციალური ფირფიტა. ინოლა გურგულია გარდაიცვალა 1977 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.




127. **სულხან ცინცაძის -** კინომუსიკა: (საუნტრეკი) „აბეზარა“,(მედეა ამირანაშვილი ასრულებს.) „ჭრიჭინა“, „ბაშიაჩუკი“, „თოჯინები იცინიან““ ჯარისკაცის მამა“, ‘ოთარანთ ქვრივი“, „ჩრდილი გზაზე“, „მაია წყნეთელი“, „ქალის ტვირთი’, „ღიმილის ბიჭები“, „განძი“, „განთიადი“, „ზღვის ბილიკი“, „თხუნელა“, „მწარე გაკვეთილი“, „ოქროს ობობა,“ „ჯადოსნური კოცონი“და სხვა.



128. **რევაზ ლაღიძის -** კინომუსიკა: „საბუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები““, ნინო“, „ვიოგენის კბილი“, „ხევისბერი გოჩა“, „განგაში“, (სიმღერები: თბილისო, ქუთაისის ჰიმნი, „ჰერიო ბიჭებო“, „სიმღერა ვაზზე“ დარგვეთელო ქალო,) სიმფონიური სურარი საჭიდაო, ოპერა „ლელა“ და სხვა.



129. **ბიძინა კვერნაძის–** კინომუსიკა: „დათა თუთაშხია“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „უდიპლომო სასიძო“, „ნატვრის ხე“, „ნეილონის ნაძვის ხე““ მე ვხედავ მზეს““ გაფხულის ღამის სიზმარი“, „ჭიაკოკონა“, „განაჩენი“, „მე დავბრუნდები““ სვეტიცხოველი“, „წიგნი ფიცისა“ **და სხვა.**



130. **გია ყანჩელის** კინომუსიკა: „როცა აყვავდა ნუში““ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“, „მიმინო“, „ფეოლა“, „რეკორდი“, „შერეკილები“, „კავკასიური რომანი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ (ჯ,კახიძესთან ერთად) „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ზღვის შვილები““ მშობლიურო ჩემო მიწავ“, „პასპორტი“, „ქვევრი“, „თეთრი ქვები,“არ იდარდო“, „ბებერი მეზურნეები“, „ციმბირელი პაპა“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „სპექტაკლისთვის –კავკასიური ცარცის წრე“, სიმღერები: შენ ერთადერთი““ ყვითელი ფოთლები““ დღეს ღამე უთენებია“ და სხვა.



131. **გოგი ცაბაძის --** კინომუსიკა: ‘ვერის უბნის მელოდიები“, „მხიარული რომანი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“, „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, „იტალიური რომანი“, სიმღერები: „ყვავილების ქვეყანა“, ‘მეფაიტონე“, „პაწაწინა სამოთხე“, „სიმღერა თბილისზე“, „იმღერე რამე’, „თუკი სუფრას გამიშლი““ ჩემი საქართველო აქ არის“, „გული მღერის“, „მუხამბაზი“. „ქუჩა- ქუჩა ალუბლებს“, „მთაწმინდის მთვარე“ , „იეთიმ გურჯი“ და სხვა. (გოგი ცაბაძე სცენაზე სიმღერის დროს გარდაიცვალა.).

132. **ტემპი** განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების სიჩქარეს.

ნელი ტემპები:

- Largo —ლარგო- ფართოდ;
- Lento — ლენტო-გაბმულად;
- Adagio —ადაჟიო- ნელა;
- Grave —გრავე- მძიმედ.

ზომიერი ტემპები:

- Andante —ანდანტე- მშვიდად;
- Andantino —ანდანტინო- andante-ზე რამდენადმე უფრო მოძრავად;
- Moderate —მოდერატო- ზომიერად;
- Sostenuto — სოსტენუტო-თავშეკავებით;
- Allegretto —ალეგრეტო- გამოცოცხლებით, ცოცხლად;
- Allegro moderate — ალეგრო მოდერატო-ზომიერად ჩქარა.

ჩქარი ტემპები:

- Allegro —ალეგრო- ჩქარა;
- Vivo — ვივო-ცოცხლად;
- Vivace —ვივაჩე- Vivo -ზე უფრო ცოცხლად;
- Presto —პრესტო- სწრაფად;
- Prestissimo —პრესტისიმო- Presto- ზე ჩქარა.

133. ბგერათა თანმიმდევრულ რიგს, რომელიც იწყება და მთავრდება ერთი და იმავე ნოტით გამა ეწოდება.

134. მუსიკაში 15 გამაა: 7 ძიეზიანი, 7 ბემოლიანი და 1 უნიშნო გამა დო მაჟორი.

135. გამები არსებობს ძიეზიანი და ბემოლიანი. მაჟორული და მინორული.

136. თვითონ მაჟორული და მინორული გამა 3 სახისაა: ბუნებრივი, ჰარმონიული, მელოდიური.

137. **დო მაჟორის სტრუქტურა: 1ტ -1ტ -½ტ -1ტ-1ტ-1ტ-1/2ტ.**

138

(♯) ძ ი ე ზ ი ა ნ ი გ ა მ ე ბ ი

რიგი	გამები	ლათ. აღნიშ.	ნიშნები	ძიეზის რაოდენობა	მანძილი გამებს შორის.
1	სოლ მაჟორი	G	1 ძიეზი	ფა ♯ (ნიშანი)	5 კვინტა
2	რე მაჟორი	D	2 ძიეზი	ფა♯ -დო♯	5 კვინტა
3	ლა მაჟორი	A	3 ძიეზი	ფა♯ -დო♯ სოლ♯	5 კვინტა
4	მი მაჟორი-	E	4 ძიეზი	ფა♯ -დო♯ -სოლ♯ -რე ♯	5 კვინტა
5	სი მაჟორი-	H	5 ძიეზი	ფა♯ -დო♯ -სოლ♯ -რე♯-ლა ♯	5 კვინტა
6	ფა♯ მაჟორი-	F♯	6 ძიეზი	ფა♯--დო♯ - სოლ♯ -რე ♯-ლა♯- მი♯	5 კვინტა
7	დო♯ მაჟორი-	C♯	7 ძიეზი	ფა♯ -დო♯- სოლ♯-რე♯ -ლა♯ -მი♯- სი♯	5 კვინტა

(♭) ბემოლიანი გამები:


რიგი	გამები	ლათ. აღნიშვნ.	ნიშნების რაოდენობა	ბემოლების რაოდენობა	მანძილი გამებს შორის
1	ფა მაჟორი	F	1- ♭	სი ♭	4 კვარტა
2	სი ♭ მაჟორი	B- ♭	2- ♭	სი ♭ მი ♭	4 კვარტა
3	მი ♭ მაჟორი	E- ♭	3- ♭	სი ♭ მი ♭ ლა ♭	4 კვარტა
4	ლა ♭ მაჟორი	A- ♭	4- ♭	სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭	4 კვარტა
5	რე ♭ მაჟორი	D- ♭	5- ♭	სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭ სოლ ♭	4 კვარტა
6	სოლ ♭ მაჟორი	G- ♭	6- ♭	სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭ სოლ ♭ დო ♭	4 კვარტა
7	დო ♭ მაჟორი	C- ♭	7- ♭	სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭ სოლ ♭ დო ♭ ფა ♭	4 კვარტა

139. ძიეზების თანმიმდევრობა.


(ნიშნები გასაღებში) ყოველ მე-5 საფეხურზე.









სოლ მაჟორი (1 ნიშანი)




რე მაჟორი (2 ნისანი)




ლა მაჟორი (3ნიშანი)




მი მაჟორი (4 ნიშანი)



სი მაჟორი (5 ნიშანი)



ფა♯ მაჟორი (6ნიშანი)




დო♯ მაჟორი (ნიშანი)

ბემოლების თანმიმდევრობა.

(ნიშნები გასაღებში) ყოველ მე-4 საფეხურზე.

1 2 3 4 5 6 7

სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭ სოლ ♭ დო ♭ ფა ♭



ფა მაჟორი (1 ნისანი)

სი ♭ მაჟორი (2 ნიშანი)

მი ♭ მაჟორი (3 ნიშანი)

ლა ♭ მაჟორი (4 ნიშანი)

რე ♭ მაჟორი (5 ნიშანი)

სოლ ♭ მაჟორი (6 ნისანი)

დო ♭ მაჟორი (7 ნისანი)

გამების ნიშნების თანმიმდევრობა გასაღებში (7-ძიეზების და 7-ბემოლების)

ფა♯ დო♯ სოლ♯ რე♯ ლა♯ მი♯ სი♯ - ძიეზების თანმიმდევრობა.

1 2 3 4 5 6 7- ნიშნების რაოდენობა.


სი ♭ მი ♭ ლა ♭ რე ♭ სოლ ♭ დო ♭ ფა ♭ - ბემოლების თანმიმდევრობა.



140. **ძიეზიანი** –გამები გვხვდება ყოველ მე- 5 საფეხურზე. (კვინტაზე)

ბემოლიანი –გამები გვხვდება ყოველ მე- 4 საფეხურზე. (კვარტაზე)

ამიტომ ეწოდებათ ამ თანმიმდევრობას კვარტა –კვინტური წრე.



141. **ტრიტონი** გადიდებული კვარტისა და შემცირებული კვინტისგან მიიღება (რუსულად ტრი ტონ.) აიგება მე-4 საფეხურზე (გად.4 + შემც.5) (+4 გადაწყდება პ6-ში) და (-5 გადაწყდება დ3-ში)

142. **დომინანტსეპტაკორდი**- აიგება მე-5 საფეხურზე, აღინიშნება D7-ით. შედგება დ3+პ3+პ3. გადაწყდება T 5/3-ში გასამმაგებული პრიმით. აქვს 3 შებრუნება:

1. კვინტსექსტაკორდი- პ3+პ3+დ2 -- გადაწყდება T 5/3- ში -ში ტონიკურ სამხმოვანებაში.

2. ტერცკვარტაკორდი -პ3+დ2+დ3 -- -გადაწყდება T 5/3- ში -ში ტონიკურ სამხმოვანებაში.

3. სეკუნდაკორდი- დ2+დ3+პ3--გადაწყდება T6-ში ტონიკურ სექსტაკორდში.


143 გთავაზობთ მუსიკალურ რებუსს (1კლ)



144. დაასახელე რა ინსტრუმენტებზე უკრავს მოსწავლეები (1კლ)



145. ნოტები ვიოლინოს და ბანის გასაღებში



მუსიკალური ლექსიკონი:

ა



აკოლადა-- ეწოდება ორი სანოტო სისტემის გამაერთიანებელ ხაზს.

აკომპანიმენტი - მუსიკალური თანხლება.

აკაპელა- გუნდური მრავალხმიანი სიმღერა ინსტრუმენტული თანხლების გარეშე.

აკუსტიკა- სმენადობის პირობები რაიმე შენობაში.

ანტურაჟი - გარსშემორტყმა სოლისტის კონცერტზე სხვა შემსრულებლის გამოსვლა. მაგ.: მომღერლის კონცერტზე - პიანისტის, მევიოლინეს, ან სხვ. სოლო გამოსვლა. ზოგჯერ ორკესტრის გამოსვლა დამოუკიდებელი ნომრით.

ანტრაქტი- შესვენება სპექტაკლის მოქმედებებს (აქტებს) ან კონცერტის განყოფილებებს შორის.

არანჟირება - (გადაკეთება) — საკრავის, საკრავთა ჯგუფის ან ხმისათვის გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოების გადაკეთება სხვა საკრავების ან სხვა ხმისათვის.

ანსამბლი- მუსიკალური ნომერი ორი ან მეტი შემსრულებლისთვის. შემსრულებელთა რაოდენობის მიხედვით განარჩევენ შემდეგ ანსამბლებს: დუეტი(2 შემსრულებელი), ტრიო (3), კვარტეტი (4), კვინტეტი (5), სექსტეტი (6), სეპტეტი (7), ოქტეტი (8), ნონეტი (9)

არტიკულაცია -(ლათ. ,,ვაცალკევებ“) ვოკალური „ლაპარაკი“ - ნიშნავს ხმოვნების უწყვეტი

ჟღერადობის ფონზე თანხმოვნების მკაფიო წარმოთქმას. საუბრისას, სიტყვების ბუნებრივად

წარმოთქმისას თანხმოვნისა და ხმოვნის წარმოთქმის დრო ძირითადად იდენტურია.

აკორდი- სამი და მეტი მუსიკალური ბგერის თანაჟღერადობა.

არია-იტალიურად ჰაერს ნიშნავს, ოპერაში კი სოლო სიმღერას.

არფა -ჩამოსაკრავი ინსტრუმენტია. დღევანდელი არფა დიდი ზომისაა. მას აქვს 47 სიმი და 6 პედალი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ბგერების ამაღლება და დადაბლება (დიეზისა და ბემოლის აღება). არფაზე შემსრულებელი უკრავს დამჯდარ მდგომარეობაში, რომელსაც არფას მხარზე აქვს მიდებული და დაკვრისას ორივე ხელს იყენებს. არფა მზადდება ხისა და ლითონისაგან. არფას აქვს ნაზი, რბილი ხმა, რომელიც მოგვაგონებს წყლის ტალღებს. არფის დიაპაზონი დიდია და იგი ხუთ ოქტავას მოიცავს. არფა ძირითადად საორკესტრო ინსტრუმენტია.

ალტი - ვიოლინოზე ოდნავ დიდია და მისი ტემბრიც დაბალია. ალტი ძირითადად საორკესტრო ინსტრუმენტია ის შედის სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში. ალტისთვის განკუთვნილი სოლო რეპერტუარი მცირეა. მათ შორისაა გ. ყანჩელის „სტიქსი“ სოლო ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. მსოფლიოში სახელგანთქმული ალტისტია რუსი მუსიკოსი იური ბაშმეტი.

ბ

ბლიც-ოპერა -გერმანულად პატარა მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები.

ბრევისი – ძველებური მუსიკის ნოტის გრძლიობა, რომელიც ორ მთელ ნოტს უდრის.

ბლუზი- მუსიკის ფორმა და მუსიკალური ჟანრი, წარმოშობილი აფრო-ამერიკულ გაერთიანებებში, თავდაპირველად როგორც ამერიკელი ზანგების სოლო ლირიკული სიმღერა. ჩაისახა მე-19 ს.-ის მიწურულში. ბლუზი ინგ. სევდას, მელანქოლიას ნიშნავს და გაჭირვებული ადამიანების ყოფა-ცხოვრებას აღწერს. ბლუზისთვის დამახასიათებელია სინკოპირებული რიტმი, ინტონაციის „სრიალი“, პოლირიტმია და იმპროვიზირება შესრულების დროს. მოგვიანებით ასევე შერეული იქნა სხვა ჟანრებთან, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯაზი, რითმ ენდ ბლუზი და როკ-ენ-როლი.

ბალეტი -(ფრანგ. ballet, იტალ. balletto , გვიანდ. ლათ. ballo - ვცეკვავ), სცენური ხელოვნების სახეობა, რომლის შინაარსი გადმოცემულია ცეკვისა და მუსიკის საშუალებით.

გ

გრავიურა --რაიმე მაგარი მასალის (ლითონის, ხის, ქვის, მინის, და სხვ.) გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ან ამოჭმული ნახატი.

გუნდი - საგუნდო შესრულებისთვის დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს გუნდი ეწოდება.

გრიგორისეული გალობა – კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიკული მონოდიური (ერთხმიანი) სიმღერა; კათოლიკურ ეკლესიაში პაპ გრიგოლის I (დაახლ.. 540–604) მკაცრად დაკანონებული საკულტო ჰანგების საერთო სახელწოდება.

გრუპეტო – ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის მელიზმის სახეობა, რომლის დროს ხდება ძირითადი ტონის შემომღერება.

გარეტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების დაწყება სუსტ დროზე.

გამა –ეწოდება ბგერების თანმიმდევრულ განლაგებას, რომელიც იწყება და მთავრდება ერთი და იგივე ბგერით.

გიტარა –ჩამოსაკრავი ინსტრუმენტია. იგი შეიქმნა ესპანეთში. მისი წინამორბედია ბარბითი. თავიდან სიმების რაოდენობა არ იყო განსაზღვრული. არსებობდა 13, 10– სიმიანი გიტარები. 6–სიმიანი გიტარა დამკვიდრდა მე–17 საუკუნეში. XX საუკუნეში შეიქმნა გიტარის ახალი სახეობა – ელექტროგიტარა. გიტარას წამყვანი როლი აკისრია ისეთ სამუსიკო ჟანრებში, როგორებიცაა: ბლუზი, ქანთრი, ფლამენკო, ჯაზი, ხოტა, მარიაჩი, რეგი, როკი, სოული, პოპი და სხვა

დ

დირიჟორი– ორკესტრის ხელმძღვანელი. იგი დგება შემსრულებელთა პირისპირ და ჯოხით ხელში (ზოგჯერ უჯოხოთაც) განაგებს ორკესტრს.დიაპაზონი არის მანძილი ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ბგერებს შორის.

დეტონაცია –– მუსიკაში არაზუსტი, ყალბი შესრულება, ხმის უადგილოდ დადაბლება ან ამაღლება.

დიაპაზონი– სასიმღერო ხმის ან საკრავის ბგერითი მოცულობაა. დიაპაზონი – ხმის, ინსტრუმენტის ჟღერადობის მოცულობაა.

დუეტი– მუსიკალური ნაწარმოები 2 შემსრულებლისთვის–

დეკრეშენდო > –ხმის თანდათან დაკლებას.

დინამიკა– ბგერის სიძლიერე.

დისკანტი – ბავშვის ყველაზე მაღალი ხმა.

ე

ელექტრონული მუსიკა - მუსიკა, რომლის ჟღერადი მასალა სინთეზატორის დახმარებით არის შექმნილი.

ენჰარმონიზმი – თანაბარი ტემპერაციის პირობებში ერთი და იმავე ბგერის ჩაწერა სხვადასხვა ხერხით: მაგალითად, ლა დიეზი და სი ბემოლი.

ეპილოგი –– ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი.

ეპიკური –(ბერძნ. Epos –სიტყვა, თხრობა) – თხრობითი ხასიათის ნაწარმოები, რომელიც, ჩვეულებრივ, წარსულის გმირულ ამბებს ასახავს. ეპიკურ ნაწარმოებებში ხშირად მღაპრულ–ფანტასტიკური სახეები გვხვდება. ეპიკური ნაწარმოებები, როგორც წესი, ნელა ვითარდება. მათ ახასიათებს ხანგრძლივი ექსპოზიცია და აუჩქარებელი განვითარება. ეპიკური ნაწარმოების ნიმუშია „გოლიათური კარიბჭე“ მუსორგსკის საფორტეპიანო სუიტიდან „სურათები გამოფენიდან“.

ვ

„ვუნდერკინდი“– სიტყვასიტყვით „საოცარი ბავშვი“ — გერმანული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს ფენომენალური ნიჭის მქონე ბავშვს. ვუნდერკინდს ახასიათებს ადრეულ ასაკში გამოვლენილი ნიჭი რაღაცისადმი. თავისი ნიჭით ცნობილია ავსტრიელი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. მას უკვე 3 წლისას ჰქონდა საყოველთაო აღიარება. ასევე განთქმულია ბლეზ პასკალი, პაბლო პიკასო, კარლ ფრიდრიხ გაუსი და ა. შ.

ვირტუოზი– 1. მსახიობი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას;

ვიბრაცია– თრთოლვა.

ვალსი– გერმანული ცეკვა ¾ ზომაში.

ვირტუოზი - 1. მსახიობი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას;

ვარიაცია - მუსიკალური ფორმა, რომელიც აგებულია ძირითადი მუსიკალური თემის და მისი შემდგომი სახეცვლილებების საშუალებით.

ვოკალი -ადამიანის ხმით შესრულება მუსიკალური ნაწარმოებისა.

ვოკალური ციკლი-- რომანსებისა ან სიმღერებისგან ერთი იდეით გამსჭვალული ან ერთ მუსიკალურ თემატურ მასალაზე შექმნილი ციკლური ნაწარმოები.

ვარირება – კომპოზიციის ხერხი, რომლის დროს პირველად გადმოცემული მასალა გამეორებისას განიცდის ცვლილებებს.

ვარიაცია– მოცეკვავე ქალისა და მოცეკვავე მამაკაცის სოლო ცეკვა) და კოდასაგა (შეერთებული დასკვნითი ნაწილი).

ვიოლინო–ყველაზე პატარა ხემიანი საკრავია და მას ყველაზე წვრილი ხმა აქვს. ვიოლინოს სიმებია: პატარა ოქტავის სოლ, პირველი ოქტავის რე და ლა, მეორე ოქტავის მი. მისი დიაპაზონია პატარა ოქტავის სოლიდან მეოთხე ოქტავის ლამდე. ცნობილი მევიოლინეები არიან: არკანჯელო კორელი, ანტონიო ვივალდი, ნიკოლო პაგანინი, იეგუდი მენუხინი, ლეონიდ კოგანი და სხვ. საქართველოს ბევრი სახელგანთქმული მევიოლინე ჰყავს: ანდრია ყარაშვილი (პირველი ქართველი მევიოლინე), ლუარსაბ იაშვილი, ლეო შიუკაშვილი და მათი აღზრდილები: მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ლიზა ბათიაშვილი და სხვები

თ

თემა – მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მუსიკალური აზრი; ხშირად ეს ტერმინი ფუგის მთავარი თემის, აგრეთვე - სონატური ფორმის მთავარი პარტიის აღსანიშნავად გამოიყენება.

თავისუფალი ვარიაციები - ვარიაციები, რომლებშიც შეიძლება შეიცვალოს მუსიკალური გამომსახველობის ყველა ხერხი

ი

იმიტაცია – მიბაძვა. მუსიკალური აზრის ზუსტი ან ნაწილობრივ შეცვლილი გამეორება პოლიფონიური ფაქტურის სხვადასხვა ხმაში.

ინტერვალი – მანძილს 2 ბგერას შორის ნიშნავს.

იმპროვიზაცია – მუსიკალური ნომრის დაუგეგმავი შესრულება. მუსიკის სპონტანური შექმნის ან ინტერპრეტაციის ხელოვნება (განსხვავებით წინასწარ დაწერილი ტექსტის ზუსტად შესრულებისა)

იეროგრიფი –ეგვიპტური დამწერლობის უძველესი, ხატოვანი ნიშნები.

ინსტრუმენტული ანსამბლი – ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება ათს. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, განასხვავებენ შემდეგ ანსამბლებს: დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი (6 შემსრულებელი), სეპტეტი (7 შემსრულებელი), ოქტეტი (8 შემსრულებელი), ნონეტი (9 შემსრულებელი).

ინვენცია –(ლათ. inventio – გამოგონება) – პოლიფონიური ნაწარმოებია, რომელიც შეიძლება იყოს დაწერილი როგორც იმიტაციური, ასევე სხვადასხვათემიან ფაქტურაში. . მაგალითად, ბახის „ორ და სამხმიანი ინვენციები“ წარმოადგენს ერთ ან ორთემიან ფუგას

ინტერპრეტაცია–1. რისამე აზრის ახსნა, განმარტება.

კ

კონცერტი –ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრია. მას საფუძველი ჩაეყარა მე–17 საუკუნეში. სიტყვა ,,კონცერტს“ იტალიური ფუძე აქვს და შეჯიბრს ნიშნავს–

კაპელა – იტალიური სიტყვაა, ასე ეწოდებოდა კათოლიკური ეკლესიის იმ ნაწილს, სადაც მომღერალთა ჯგუფი იდგა. კაპელა გუნდის უძველესი სახეობაა.

კანტატა – ვოკალური კომპოზიციაა, გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის. შეიქმნა და განვითარდა მე–17 საუკუნეში იტალიაში.

კრეშენდო < –ხმის თანდათან მომატებას ნიშნავს.

კადანსი – მუსიკალური ნაგებობის დამასრულებელი ჰარმონიული მიმდევრობა.

კლასიკური- ყოველივე საუკეთესო, რამაც გაუძლო დროს და აგრძელებს არსებობას.

კამერული მუსიკა – ინსტრუმენტული ან ვოკალური საანსამბლო მუსიკა, რომელიც ძირითადად სრულდება მცირე დარბაზებში. ყველაზე გავრცელებულ კამერულ–ინსტრუმენტულ ჟანრად ითვლება სიმებიანი კვარტეტი.– ვოკალური და საკრავიერი მუსიკა სოლო შემსრულებლისათვის ან შემსრულებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფებისათვის (ანსამბლი).

კლასტერი – დისონანტური თანხმოვანება, რომელიც შედგება რამდენიმე ერთდროულად ჟღერადი მეზობელი ბგერისაგან.

კრინი – მაღალი, ვარირებული ხმის ქართული სახეწოდება.

კოდა – მუსიკალური კომპოზიციის დამაბოლოებელი მონაკვეთი.

კოლორატურა – სიმღერის ვირტუოზული სტილი, რომელიც შეიცავს ჩქარი ტემპის პასაჟებს, არპეჯიოებს, მელიზმებს და უკავშირდება სოპრანოს მაღალ, მსუბუქ ტემბრს.

კონტრაპუნქტი – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ერთდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

კვარტეტეტი- მუსიკალური ნაწარმოები 4 შემსრულებლისთვის-

კვინტეტი -მუსიკალური ნაწარმოები 5 შემსრულებლისთვის

კლასიკური– ნიშნავს ყოველივე საუკეთესოს, რამაც გაუძლო დროს და აგრძელებს არსებობას.

კანტატა - ვოკალურ-ინსტრუმეტული ნაწარმოები ერთი ან მეტი სოლისტის, გუნდისა და

ორკესტრისთვის. ორატორიასთან შედარებით უფრო მცირე მაშტაბისაა.

კანონი– (ლათ. canon - წესი) – ეს არის პოლიფონიური ფორმა, რომლის საფუძველს იმიტაცია წარმოადგენს

კონტრაბასი –სიმებიან-ხემიან ისნტრუმენტებს შორის ყველაზე დიდი და დაბალი ჟღერადობის მქონე საკრავია. კონტრაბასი უპირატესად საორკესტრო და საანსამბლო საკრავია. მან დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჯაზურ მუსიკაში.

ლ

ლოტბარი – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.

ლიბრეტო– მუსიკალურ–სცენური თხზულების (ოპერა, ბალეტი, თეატრი) სრული სიტყვიერი ტექსტი. ლიბრეტოს ქმნის ლიბრეტისტი.

ლაიტმოტივი – მელოდიური, რიტმული, ჰარმონიული მოტივი, რომელიც ასოცირდება პერსონაჟთან, დროსა და მოქმედების ადგილთან. ლაიტმოტივის ტექნიკას იყენებდა რ.ვაგნერი თავის ოპერებში.

მ

მონოფონია –ერთხმიანობა. მონოდია ერთხმიანი მუსიკა.

მელიზმები (მორთვა, შემკობა) – ვოკალურ და ინსტრუმენტულ მუსიკაში მცირე ზომის მელოდიური ფიგურა, რომელიც ალამაზებს მელოდიის ძირითად ბგერას.

მენუეტი - ფრანგული ცეკვა სამწილად ზომაში.

მელიზმები (მორთვა, შემკობა) – ვოკალურ და ინსტრუმენტულ მუსიკაში მცირე ზომის მელოდიური ფიგურა, რომელიც ალამაზებს მელოდიის ძირითად ბგერას.

მესა - გარკვეულ ტექსტზე დაწერილი მრავალნაწილიანი ნაწარმოები გუნდისათვის (ზოგჯერ მომღერალი სოლისტებისათვის) ინსტრუმენტული თანხლებით ან მის გარეშე. სრულდება კათოლიკურ ეკლესიებში, მესა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კრედო, გლორია, სანქტუს, ბენედიქტუს, აგნუს დეი.

მეტრი - მუსიკის ორგანიზაცია დროში; კონკრეტულად - ბგერების გრძლიობების თანმიმდევრობა. მეტრი ეს არის ძლიერი და სუსტი წილების მონაცვლეობა განსაზღვრულ ტემპში. რიტმული ფორმა, რომელიც ძლიერი და სუსტი წილების მონაცვლეობაზე აიგება. ძირითადი ტიპები: ორწილადი მეტრი (ერთი ძლიერი და ერთი სუსტი წილი ტაქტში) და სამწილადი (ერთი ძლიერი და ორი სუსტი წილიტაქტში). ოთხწილადში 1 და 3 არის ძლიერი დრო.

მოდულაცია –მაჟორულ-მინორულ სისტემაში ტონალობის შეცვლა.

მუსიკალური თემა - ეს არის მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

მოტივი - ეს არის მელოდიის ყველაზე მოკლე გამომსახველი ერთეული, –მუიკალური ნაწარმოების ფორმის ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ერთეული.

მოძახილი - საგუნდო სიმღერის დასაწყისი, რომელსაც ასრულებს მოძახილის მთქმელი ან მომღერალთა მცირე ჯგუფი, რის შემდეგაც სიმღერას მთელი გუნდი აიტაცებს.

მოდულაცია-- ერთი ტონალობიდან მეორეზე გადასვლა, ბგერის სიმაღლის შეცვლა.
მოდულაცია–ტონალობების მონაცვლეობას ეწოდება

მონოფონია --სოლო მელოდიური ხაზი ჰარმონიული თანხლების გარეშე. . ამის ტოლფასია მონოდია.

მელოდია - ეს არის განვითარებული და დასრულებული მუსიკალური აზრი , გადმოცემული ერთ ხმაში
მონოდია – სოლო ან ერთხმიანი საგუნდო სიმღერა აკომპანემენტის გარეშე.

მონოდიურს უწოდებენ (მონოდია -ბერძნული სიტყვაა, monos – ერთი, ode – სიმღერა).

მარში– მუსიკალური ჟანრია, რომელიც ადამიანთა მსვლელობას ახლავს.

მიუზიკლი (ინგლ. musical), მუსიკალური-სასცენო ნაწარმოები (უმთავრესად კომედიური ხასიათისა), რომელშიაც გამოყენებულია ესტრადის, საბალეტო მუსიკის, ქორეოგრაფიისა და საოპერო ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები. როკ-ოპერა არის ოპერა როკ-მუსიკის ჟანრში.

მკაცრი (კლასიკური, ფიგურაციული) ვარიაციები - ვარიაციები, რომელთა დროს იცვლება მელოდია, ფაქტურა, კილო. უცვლელია ფორმა, ჰარმონია, ტონალობა, მეტრი;მუსიკალური თემა - ეს არის მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

მარტივ ორ და სამნაწილიან ფორმას -უწოდებენ ისეთ ფორმებს, რომელთა პირველი ნაწილი პერიოდს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენები თავისი სტრუქტურით არ აღემატება პერიოდს

ნ

ნადი – ქართული შრომის სიმღერა, რომელიც სრულდებოდა რთველის დროს.

ნევმები – ძველებური დამწერლობის ნოტაციის გრაფიკული ნიშნები

მოტივი – მოკლე მელოდიკო–რიტმული ფიგურა, მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ერთეული

მარტივ ორ და სამნაწილიან ფორმას –უწოდებენ ისეთ ფორმებს, რომელთა პირველი ნაწილი პერიოდს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენები თავისი სტრუქტურით არ აღემატება პერიოდს.

ო

ორკესტრი – კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა საკრავზე შემსრულებელი მუსიკოსები.

ოპერა – თეატრალური წარმოდგენის მხატვრულ–დრამატული ფორმა, რომელშიც მოქმედება ძირითადად მუსიკით (სიმღერითა და აკომპანემენტით) სრულდება. ოპერა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თხზულებას.

ოპერა იტალიური სიტყვაა და ნიშნავს ნამუშევარს, თხზულებას. ოპერა სინთეზური ჟანრია და აერთიანებს მუსიკის, დრამატურგიის, მხატვრობისა და ქორეოგრაფიის ელემენტებს.

ოპერეტა - სიტყვა-სიტყვით, „პატარა ოპერას“ ნიშნავს. მუსიკალურ-თეატრალური ჟანრის ამ ერთ-ერთ ნიმუშში, სიმღერასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სალაპარაკო ელემენტს. მასში ერთმანეთს ენაცვლება სასიმღერო, სალაპარაკო და საცეკვაო ნომრები. ოპერეტა დასაბამს იღებს კომიკური ოპერიდანდა მის ლიბრეტოს საფუძვლად უდევს საყოფაცხოვრებო კომიკური, ხშირად პაროდიული სიუჟეტები.

ოპერეტა გასართობის ხასიათის ჟანრია და მხიარულ ისტორიებს აღწერს. მიუზიკლი (ინგლ. musical), მუსიკალური-სასცენო ნაწარმოები (უმთავრესად კომედიური ხასიათისაა), რომელშიაც გამოყენებულია ესტრადის, საბალეტო მუსიკის, ქორეოგრაფიისა და საოპერო ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები. ჩასააბერი დასარტყამი და კლავიშებიანი საკრავები. ოპერეტა – სიტყვა–სიტყვით, „პატარა ოპერას“ ნიშნავს.

ოქტავა არსებობს –სუბკონტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, მცირე ოქტავა, პირველი ოქტავა, მეორე ოქტავა, მესამე ოქტავა, მეოთხე ოქტავა (და მეხუთე ოქტავა.) ყველა ოქტავა 12 თანაბარ ნაწილად იყოფა – ამ ნაწილებს ნახევარტონი ჰქვია.

ოსტინატო -- ერთ-ერთი სავარიაციო ფორმა მუსიკაში, რომელიც ემყარება უცვლელი ხმების მრავალგზის გამეორებას.

ობერტონები – თანაბგერები, რომლებიც შედის ჟღერადი ბგერის სპექტრში და ძირითად ტონზე უფრო მაღლა განთავსდება. ობერტონები წარმოიშვება ვიბრატორის ნაწილების (ნახევრის, მესამედის, მეოთხედის და ა.შ.) რხევის შედეგად და ყოველივეს აქვს საკუთარი სიმაღლე.

ოქტეტი - მუსიკალური ნაწარმოები 8 შემსრულებლისთვის.

ორატორია -ვოკალურინსტრუმენტული ნაწარმოებია განკუთვნილი სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

პ

პაუზა- შესვენების, სიჩუმის ნიშანია.

პრელუდია - ნიშნავს შესავალს, დასაწყისს, პრელუდია არის იმპროვიზაციული ფორმა.

პოლიფონია - („მრავალრიცხოვანი ხმა“) — ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი, ფუნქციურად თანასწორუფლებიანი მელოდიის ერთდროული ჟღერადობა.

პარტიტურა - საორკესტრო ან საგუნდო ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი, რომელშიც გაერთიანებულია ცალკეული ხმების (საკრავების) პარტიები,

პულტი ანუ პიუპიტრი - ნოტის დასადები.

პოპ-მუსიკა, რომელსაც ხშირად უბრალოდ პოპს უწოდებენ, არის თანამედროვე მუსიკა და პოპულარული მუსიკის (კლასიკური ან სერიოზული მუსიკისა და ხალხური მუსიკისაგან განსხვავებით) ერთგვარი ტიპი.

პროლოგი-- ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც, ჩვეულებრივ, მოკლედ არის აღწერილი ძირითადი ნაწილი.

პიქტოგრამა-- პირობითი ნიშანი, ნახატი, რომელსაც იყენებენ პიქტოგრაფიაში.

პენტატონიკა – ხუთსაფეხურიანი კილოები; ძირითადი სახეობა - პენტატონიკა

ნახევარტონების გარეშე („შავკლავიშიანი“).

პოლირიტმია – სხვადასხვა ხმაში კონტრასტული რიტმული ჩანახაზების ერთდროული გამოყენება.

პოპური - სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების ნაწყვეტებისაგან შემდგარი მუსიკალური პიესა.

პროგრამული მუსიკა – ინსტრუმენტული, უპ. ყოვლისა სიმფონიური მუსიკა, რომელსაც აქვს „პროგრამა“, ე.ი. კონკრეტული სიუჟეტი გამოწვეული ცხოვრების ცოცხალი შთაბეჭდილებებით ან ნასესხები ლიტერატურული ან ფერწერული წყაროებიდან.

პენტატონიკა -(ბერძნ. პენტე – ხუთი, ტონოს – ბგერა) კილოა, რომელიც ხუთი ბგერისაგან შედგება.

„პოლიფონია“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს მრავალხმიანობას, მრავალხმიანი მუსიკალური წყობა, რომელშიც მწყობრად გაერთიანებულ ყველა ხმას აქვს დამოუკიდებელი მელოდიური მნიშვნელობა.

პა-დე-დე - (ფრანგ. pas de deux - ორთა ცეკვა pas - ნაბიჯი, ცეკვა და deux - ორი) - ბალეტის ერთ-ერთი ძირითადი მუსიკალურ-საცეკვაო ფორმა.

პა-დე-ტრუა (ფრანგ. pas de trois - სამთა ცეკვა pas -ნაბიჯი, ცეკვადა trois - სამი) — მუსიკალური საცეკვა ფორმა. ძირითადად პა-დე-დეს სტრუქტურას იმეორებს. ჩვეულებრივ ცეკვავს 2 ქალი და ერთი მამაკაცი. ბალეტი ჩაისახა აღორძინების ეპოქაში, იტალიაში (მე-16 ს.)

პოლონეზი - ძველებური პოლონური საზეიმო ხასიათის სამეჯლისო ცეკვა-სვლა.

პოპური - სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების ნაწყვეტებისაგან შემდგარი მუსიკალური პიესა.

პროგრამული მუსიკა – ინსტრუმენტული, უპ. ყოვლისა სიმფონიური მუსიკა, რომელსაც აქვს „პროგრამა“, ე.ი. კონკრეტული სიუჟეტი გამოწვეული ცხოვრების ცოცხალი შთაბეჭდილებებით ან ნასესხები ლიტერატურული ან ფერწერული წყაროებიდან.

პერიოდი -ჰქვია ნაგებობას, რომელიც იყოფა ორ მონაკვეთად და რომლის ფარგლებში მოცემულია დასრულებული მუსიკალური თემა . ნაგებობას , რომელიც ნაწევრდება ორ მონაკვეთად და რომლის ფარგლებში მოცემულია დასრულებული მუსიკალური თემა - პერიოდი ჰქვია

პოლირიტმია – სხვადასხვა ხმაში კონტრასტული რიტმული ჩანახაზების ერთდროული გამოყენება .

ჟ

ჟანრი– არსებობს ვოკალური საორკესტრო, საგუნდო. სხვადასხვა სახეობების მუსიკას ჟანრი ეწოდება,

რ

რეზონატორი –(ფრ. Resonance, ლათ. Resono – ვპასუხობ) – ხმის აპარატის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც ბგერა რეზონირებს, ძლიერდება და „ფრენად“ ხასიათს იძენს. მომღერლებს აქვთ თავის და მკერდის რეზონატორები. ბგერის სწორი წარმოქმნა ნიშნავს ერთდროულად ორივე რეზონატორის ვიბრაციას. აქედან გამომდინარე, სხეული მღერის (რეზონირებს) მთლიანობაში.

რიტმი – ეს არის ბგერების მიმდევრობა, რომელსაც მეტრი აწესრიგებს.

.რეჩიტატივი –(იტალიურად „recitare” – დეკლამაცია) – მელოდიის ტიპი, რომელიც სამეტყველო ინტონაციას უახლოვდება. რეჩიტატივი შეიძლება იყოს როგორც ვოკალური, ისე – ინსტრუმენტული (სიტყვების გარეშე).

რეპი - რეპი არის რითმული ამერიკული პოეზია. სხვადასხვა სტილს მოიცავს. წარმოიშვა ამერიკაში და გავრცელდა მსოფლიოში და დღემდე არსებობს.

როკ-მუსიკა (ინგლ. Rock music) — მუსიკის პოპულარული ჟანრი, რომელიც განვითარდა 1960-იანების შემდეგ, განსაკუთრებით ამერიკასა და ბრიტანეთში. მას ფესვები 1940 და 1950-იანების როკ-ენ-როლიდან აქვს. როკ-მუსიკაზე დიდი გავლენა იქონია ქანთრიმ. როკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტებია ელექტრო გიტარა, ბას-გიტარა და დასარტყმელი საკრავები .

რეტრო -სიტყვა რეტრო, წარსულში დაბრუნებას ნიშნავს.

რეპრიზა- განმეორებას ნიშნავს.

რომანსი -არის კამერულ-ვოკალური ნაწარმოებია, რომელსაც ასრულებს ერთი მომღერალი, მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით (ფორტეპიანო, გიტარა, არფა).

რონდო-– წრეს ნიშნავს.

რეგისტრი – ხმის ან ინსტრუმენტის დიაპაზონის მონაკვეთი, რომელსაც მკაფიო კოლორისტული და ტემბრული მახასიათებლები აქვს.

რეფრენი – 1) რონდოს ფორმაში – უცვლელი მუსიკალური მასალა, რომელიც მეორდება კონტრასტული ეპიზოდების მერე; 2)მისამღერი – კუპლეტურ ფორმაში კუპლეტის მეორე, უცვლელი ნაწილი (მაგ., სიმღერაში).

რეკვიემი - სიტყვა-სიტყვით „თვალცრემლიანი“სამგლოვიარო ხასიათის მრავალხმიანი ციკლური ნაწარმოები. ორკესტრისა და გუნდისათვის. ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის პოლიფონიურ მუსიკაში, როგორც მოსახსენებელი მესა. მოცარტის უკანასკნელი ნაწარმოები რომლის დასრულებაც ვერ მოასწრო.

რეზონატორი – ხმის აპარატის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც ბგერფრაზა – მელოდიის ფრაგმენტი, რომელიც თავისი დანიშნულებით უთანაბრდება სამეტყველო წინადადებასა რეზონირებს, ძლიერდება და „ფრენად“ ხასიათს იძენს. მომღერლებს აქვთ თავის და მკერდის რეზონატორები. ბგერის სწორი წარმოქმნა ნიშნავს ერთდროულად ორივე რეზონატორის ვიბრაციას. აქედან გამომდინარე, სხეული მღერის (რეზონირებს) მთლიანობაში.

რიტმი – მუსიკის ორგანიზაცია დროში; კონკრეტულად - ბგერების გრძლიობების თანმიმდევრობა.

რუმბა - მექსიკური წარმოშობის თანამედროვე სამეჯლისო ცეკვა, ოთხწილად ზომაში, რომელიც მე- 20 ს.-ის 20-იანი წლების მიწურულში გავრცელდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში

როკ-ოპერა- არის ოპერა როკ-მუსიკის ჟანრში, იგი წარმოადგენს მუსიკალურ-სცენურ ნაწარმოებს, სიუჟეტი ვითარდება არიებით, რომლებსაც როლებში განაწილებული მრავალრიცხოვანი მომღერალი ასრულებს.

რონდოს ფორმა წარმოადგენს ერთი და იმავე თემის – რეფრენის – გამეორებებს, რომელთა შორის განთავსებულია განსხვავებული, ხშირად კონტრასტული ხასიათის მუსიკალური ნაგებობები – ეპიზოდები.

რეფრენი – 1) რონდოს ფორმაში – უცვლელი მუსიკალური მასალა, რომელიც მეორდება კონტრასტული ეპიზოდების მერე; 2) მისამღერი – კუპლეტურ ფორმაში კუპლეტის მეორე, უცვლელი ნაწილი (მაგ., სიმღერაში).

ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის პოლიფონიურ მუსიკაში, როგორც მოსახსენებელი მესა.

რომანსი- შეიქმნა ესპანეთში. შუა საუკუნეებში ასე უწოდებდნენ საერო სიმღერას. რომანსი ლირიკული ხასიათის ნაწარმოებია. იგი ადამიანის ძლიერ სულიერ განცდებს ასახავს. რომანსის ჟანრის აყვავება დაიწყო XVIII საუკუნის II ნახევარში ავსტრია-გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში. XIX საუკუნეში კი ჩამოყალიბდა რომანსის განვითარების ეროვნული სკოლები. ავსტია – გერმანიაში მას სათავეში ჩაუდგნენ ფ.შუბერტი, რ.შუმანი, ი.ბრამსი, ჰ.ვოლფი), საფრანგეთში – ჰ.ბერლიოზი, შ.გუნო, ჟ.მასნე, რუსეთში – მ.გლინკა, მ.მუსორგსკი, პ.ჩაიკოვსკი). ამავე საუკუნეში რომანსი შეიქმნა საქართველოშიც. კლასიკური ქართული რომანსის პირველი ავტორები არიან დ.არაყიშვილი, მ.ბალანჩივაძე და ზ.ფალიაშვილი.

რთული სამნაწილიანი ფორმა ეს არის რეპრიზული ფორმა, რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს მარტივ ორ - ან სამნაწილიან ფორმას, ხოლო მეორე და მესამე ნაწილი პირველ ნაწილზე უფრო რთულ ნაგებობას არ წარმოადგენს. პირველი ნაწილი თავისი სტრუქტურით დასრულებულ, ჩაკეტილ ნაგებობას წარმოადგენს.

ს

საუნტრეკი- კინომუსიკა ,შეიძლება აღნიშნავდეს ჩაწერილ მუსიკას, რომელიც კინოფილმის, წიგნის, სატელევიზიო გადაცემისა თუ ვიდეო თამაშის თანმხლებია.

სინგლი -არის ერთი ან მეტი განსხვავებული სიმღერის მცირე მოცულობის ჩანაწერი.

საგალობელი – უფლის სადიდებელი სიმღერა.

სიმფონია – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

სოული- კომბინაციაა რითმ-ენდ-ბლიუზისა და გოსპელის, რომელიც გვიანდელ 1950-იანებში ჩაისახა აშშ-ში. თავად რითმ-ენდ-ბლიუზი.

სამბა - საერთაშორისო სამეჯლისო ცეკვა. ბრაზილიური ხალხური საცეკვაო ჟანრი.

სვინგი – ბიგ-ბენდის ტიპის საორკესტრო საცეკვაო ჯაზური მუსიკა, რომელიც პოპულარული იყო 1930-40-იან წლებში.

სონატა -3 ნაწილიანი ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრია. მომდინარეობს იტალიური sonare -დან , რაც ხმოვანებას ნიშნავს.

სპირიჩუელი - ამერიკელი ბანგების სასულიერო ჰიმნი.

სოლო- მუსიკალური ნაწარმოები 1 შემსრულებლისთვის.

სექსტეტი -მუსიკალური ნაწარმოები 6 შემსრულებლისთვის.

სეპტეტი -მუსიკალური ნაწარმოები 7 შემსრულებლისთვის

საუნდი - ჯაზური ანსამბლის დამახასიათებელი ხმოვანება.

სვინგი – ბიგ-ბენდის ტიპის საორკესტრო საცეკვაო ჯაზური მუსიკა, რომელიც პოპულარული იყო 1930-40-იან წლებში.

სოული – ამერიკული პოპულარული მუსიკის სტილი, მის საფუძველს ბანგების ფოლკლორი და სასულიერო გალობა წარმოადგენს.

სპირიჩუელი - ამერიკელი ბანგების სასულიერო ჰიმნი.

სეკვენცია – მოტივის ან ფრაზის გამეორება სხვა სიმაღლებრივ დონეზე.

სინკოპა – აქცენტის გადატანა ძლიერი წილიდან სუსტზე.

სინთეზატორი– ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი.

სკერცო – სიტყვასიტყვით - ხუმრობა. პიესა ან ციკლის ნაწილი ჩქარ ტემპში.

სოინარი - ძველებური ქართული ხალხური საკრავი. სხვადასხვა სიგრძის ლერწმის 6 ღეროსაგან დამზადებული ფლეიტა.

სონორისტიკა – მე-20 საუკუნის მუსიკალური კომპოზიციის ტექნიკა, ძირითადი ყურადღება ბგერის ტემბრულ თვისებებზეა გამახვილებული.

სონატური ფორმის ნაწილებია: ექსპოზიცია, დამუშავება და რეპრიზასონატური -ეწოდება ისეთ რეპრიზულ ფორმას, რომლის პირველ ნაწილში გადმოცემულია სხვადასხვა ტონალობაში ორი კონტრასტული თემა, მეორე ნაწილში ეს თემები ვითარდება, მესამეში კი ტონალური დაახლოების შედეგად ხდება ამ თემების გაერთიანება. სონატური ფორმის ნაწილების სახელწოდებაა ექსპოზიცია, დამუშავება და რეპრიზა

სეკვენცია შედგება განმეორებადი მოტივებისაგან - რგოლებისაგან. ეს რგოლები სეკვენცირების დროს გადაადგილდებიან. თუ ისინი მოძრაობენ ზემოთ - სეკვენცია აღმავალია, თუ ქვემოთ - დაღმავალია. ინტერვალს, რომელზედაც გადანაცვლდება რგოლი, -სეკვენციის სვლა ეწოდება.

სეკვენცია შეიძლება იყოს ზუსტი - ამ დროს პირველი რგოლი ზუსტად არის ტრანსპონირებული სხვა სიმაღლეზე და არაზუსტი - ამ დროს მოტივის შემადგენელი ზოგიერთი ინტერვალი შეცვლილია

სკერცოზული -(იტ, scherzo - ხუმრობა) სახუმარო ხასიათის ნაწარმოები ან მისი ნაწილი. სკერცოზული ხასიათით გამოირჩევა ი. ს. ბახის „ხუმრობა“ - მეორე საორკესტრო სუიტიდან. ვოკალური - სიმღერა, რომანსი, გუნდი; ინსტრუმენტული - სიმფონია, კონცერტი, ინსტრუმენტული ანსამბლი; ვოკალურ-ინსტრუმენტული - ოპერა, ორატორია, კანტატა; გამოყენებითი ჟანრები - მარში, ცეკვა, სიმღერა; სცენური ჟანრები - ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი, ოპერეტა, როკ-ოპერა.

სიმებიან - ხემიან– საკრავთა ოჯახს მიეკუთვნებიან: ვიოლინო, ალტი, ვილონჩელო (ან ჩელო) და კონტრაბასი. ისინი ერთ ჯგუფში იმიტომ არიან გაერთიანებულნი, რომ მათ ბევრი საერთო ნიშანი აქვთ, ისინი ფორმით ჰგვანან ერთმნეთს, ყველა საკრავი გაკეთებულია ხისაგან, ყოველ მათგანს ოთხი სიმი აქვს. ამ ინსტრუმენტებზე დასაკრავად საჭიროა ხემი - სპეციალური ჯოხი, რომელზეც ცხენის ძუა არის გაბმული. მათი წინაპრები ვიოლას ჯგუფის სიმებიან-ხემიანი ინსტრუმენტებია.

ტ

ტრანსპოზიცია -- (ტრანსპონირება) - ეს არის მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ნაწილის ცვლილებების გარეშე სხვა ტონალობაში გადატანა

ტემპი - ეს არის მეტრული წილების პულსაციის სიხშირე.

ტაპიორი-- პიანისტი, აკორდეონისტი და სხვ., რომელიც უკრავს საცეკვაო საღამოებზე; პიანისტი, რომელიც უკრავდა მუნჯი ფილმის მსვლელობის დროს.

ტრიო - მუსიკალური ნაწარმოები 3 შემსრულებლისთვის.

ტაქტი – მუსიკალური მეტრის ერთეული, რომელიც იქმნება სხვადასხვა სიძლიერის წილის მონაცვლეობის შედეგად და იწყება ყველაზე ძლიერით. . ტაქტები ერთმანეთისაგან გამოიყოფა ვერტიკალური ხაზით.

ტრანსკრიფცია, გადამუშავება – ნაწარმოების მორგება სხვა საკრავისა ან შემსრულებლების სხვა შემადგენლობისთვის, ვიდრე ეს არის ორიგინალში, მაგალითად, საგუნდო ნაწარმოების ტრანსკრიფცია ინსტრუმენტული ანსამბლისათვის.

ტრანსპონირება – ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტის გადატანა სხვა ტონალობაში.

ტრელი – ორი მეზობელი ბგერის სწრაფი და მრავალჯერადი მონაცვლეობა; შემოკლ.: tr.

ტრემოლო – ერთი და იმავე ან ორი არამეზობელი ბგერის სწრაფი მრავალჯერადი გამეორება.

ტრიო – სიმებიანი ტრიო: ვიოლინო, ალტისა და ვიოლონჩელოს ანსამბლი საფორტეპიანო ტრიო: ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ვიოლონჩელოს ანსამბლი

უ

უვერტიურა- ოპერის, ბალეტის, ოპერეტის საორკესტრო შესავალი;

უვერტიურა (ფრანგული სიტყვიდან „უვერე“ - გახსნა, ტიურ - კარი) ოპერის, ბალეტის, თეატრალური წარმოდგენის ან კინოფილმის ინსტრუმენტულ შესავალია.

უნისონი – 1) თეორიულად – ნულოვანი ინტერვალი, მანძილი ორი ერთი და იმავე სიმაღლის ტონს შორის; 2) პრაქტიკულად – ყველა შემსრულებლის მიერ ბგერის ან მელოდიის შესრულება ერთდროულად ერთ სიმაღლეზე.

ფ

ფოლკლორი- ხალხის სიბრძნე, ის წესჩვეულებები, სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებები, ზღაპრები, სიმღერები, ცეკვები,

ფალცეტი . მომღერლის ხმის განსაკუთრებით მაღალი რეგისტრის ბგერა. 2. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებური ხმა.

ფრაზა – მელოდიის ფრაგმენტი, რომელიც თავისი დანიშნულებით უთანაბრდება სამეტყველო წინადადებას. ქრომატიზმი - კილოს დიატონური საფეხურების შეცვლა ნახევარტონით, ფრაზა --- ეს არის ერთ ნაგებობაში გაერთიანებული მოტივების ჯგუფი.

ფუგა (ლათინურად - სირბილი, დევნა) ეწოდება პოლიფონიურ მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც ეყრდნობა ერთი ან რამდენიმე თემის მრავალგზივ იმიტაციურ გატარებას ყველა ხმაში.

ფერმატა – თავისუფალი პაუზა, ბგერის ან აკორდის ჟღერადობის შეკავება.

ფინალი – მრავალნაწილიანი ინსტრუმენტული ციკლის დასკვნითი ნაწილი. ოპერის ან ბალეტის დამაბოლოებელი სცენა.

ქ

ქრომატული გამა - გამა, რომელიც შედგება მხოლოდ ნახევარტონებისგან აღინიშნება ალტერაციის ნიშნებით.

ხ

ხემი – ჯოხზე ასხმული ძუა.

ჩ

ჩელო– (ჩელო) მოცულობით უფრო დიდი ინსტრუმენტია და მისი ტემბრიც უფრო დაბალია. ჩელოს ლამაზი, მსუყე ტემბრი აქვს. ჩელო გამოიყენება, როგორც სოლო მუსიკალური ინსტრუმენტი, მონაწილეობს

კამერულ ანსამბლებსა და სიმფონიურ ორკესტრში. ცნობილ ჩელისტებს შორის აღსანიშნავია ესპანელი მუსიკოსი პაბლო კაზალსი.

ც

ციკლი – რამდენიმე დრამატურგიულად და თემატურად გაერთიანებული ნაწილისგან შემდგარი მუსიკალური კომპოზიცია.

ხ

ხორუმი – ქართული ხალხური ცეკვა. ზომა – 5/8. ასრულებს კენტი რაოდენობის მამაკაცთა ჯგუფი დოლის და ჭიბონის თანხლებით.

ჯ

ჯაზი– ორიგინალური ამერიკული მუსიკალური ხელოვნების ფორმაა, რომელიც ადრეულ 1920–იან წლებში ნიუ–ორლეანში გაჩნდა; ეფუძნება დასავლეთის მუსიკალურ ტექნიკასა და თეორიას. მის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აფრო–ამერიკელთა კულტურულ ტრადიციებს. ჯაზის ისტორია აფრიკული მუსიკით იწყება, ის აფრიკელმა მონებმა ჩამოიტანეს სამხრეთ ამერიკაში. ჯაზი შავკანიანების უცნაური გამოგონებააო. ჯაზი 2 მუსიკალური ჟანრის ბლუზისა და რეგტაიმის ნარევია. ჯაზის მუსიკა ისმოდა ქარხნებში ჩაის პლანტაციებში მას თავდაპირველად შრომის დროს ასრულებდნენ აფრიკელი მონები. ჯაზი - 20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ- ში; ჯაზის საფუძველს წარმოადგენს ბანგების ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

ჰ

ჰარმონია“– შეთანხმება.

ჰიმნი– საზეიმო სიმღერა

ჰომოფონია– 1. მელოდია აკომპანემენტითურთ (საპირისპ. მონოდია). 2. მრავალხმიანობა, სადაც ერთი ხმა სჭარბობს.

საინტერესო ფაქტები ზაქარია ფალიაშვილის შესახებ

ზაქარია ფალიაშვილის სახლმუზეუმი თბილისში


Mzia Saganelidze (RFE/RL)


Mzia Saganelidze (RFE/RL)



გაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი





ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ ავტორის, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი ცოტა ხნის წინ გაიხსნა, ახალი გამოფენა მისი კიდევ ერთი გახმაურებული ოპერის, „ლატავრას“, შესახებ. გამოიფინა აქამდე მუზეუმის ფონდში დაცული და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მასალა: აფიშები, ნოტები, ფოტოები და, რაც მთავარია, სწორედ ამ ოპერისთვის მხატვარ ივანე ასკურავას მიერ შექმნილი ესკიზები. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი ყოფილი აგურის ქუჩაზე, ახლანდელი ბაქრაძის ქუჩის 10 ნომერში, მდებარეობს. იქ დაცულ ნივთებს შორისაა ფალიაშვილის ლეგენდარული როიალი, ვალტორნა და ფონოგრაფი. ზაქარია ფალიაშვილმა ბაქრაძის ქუჩის #10-ში მდებარე სახლში 1915 წლიდან 1933 წლამდე იცხოვრა. სახლ-მუზეუმად ეს ბინა მოგვიანებით გადაკეთდა, მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს.

„თქვენ ახლა ამოიარეთ კიბეები და მოხვდით სახლში, სადაც ძალიან ვცდილობთ იმ გარემოს შენარჩუნებას, რომელშიც დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი ცხოვრობდა“, ამ სიტყვებით შეეგება სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ვიქტორია სირაძე „ქართული სასწავლებლის“ მეოთხეკლასელებს, რომლებიც იქ ექსკურსიაზე მივიდნენ და პირველად მოისმინეს პირველი ქართული ოპერის დაბადების ამბავიც.

როცა ფალიაშვილის შემოქმედებაზე ჰყვებიან, პირველ რიგში, მის ორ ოპერას გამოყოფენ: „აბესალომ და ეთერს“, რომლის პრემიერაც 1919 წელს დამოუკიდებელ საქართველოში გაიმართა, და „დაისს“, რომელიც გასაბჭოებულ ქვეყანაში დაიდგა, 1923-ში. მუზეუმის ექსპოზიციაც ძირითადად ამ ორი ლეგენდარული ოპერის გარშემო ტრიალებს. თუმცა ცოტა ხნის წინ მათ ფალიაშვილის კიდევ ერთი ოპერის, „ლატავრას“, გამოფენაც მიემატა - ეს ფალიაშვილის სახლ-მუზეუმისთვის სიახლეა და როგორც მუზეუმის კურატორი გვეუბნება, მუზეუმის სტუმრები პირველად ნახავენ ამ ოპერისთვის შექმნილი ესკიზების გამოფენას. მისივე თქმით, უკვე მუზეუმის კუთვნილებაა „ლატავრას“ როლის შემსრულებლის, თამარ ლაპიაშვილის, პირადი არქივიც, რომელიც მუზეუმს საჩუქრად მისმა ვაჟმა გადასცა: „ლატავრა“, მართლაც, ცოტა დაგვეჩაგრაო, გვითხრა ექსპოზიციის მენეჯერმა, თამარ წულუკიძემაც. შესაძლოა, იმის გამოც, რომ მას მაინც არ ხვდა წილად იმხელა წარმატება, რამხელაც მის ორ წინამორბედ ოპერას ჰქონდა. „ლატავრა“ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე სამჯერ დაიდგა. პირველი ლიბრეტოს ავტორი სანდრო შანშიაშვილი იყო, პირველი რეჟისორი – სანდრო ახმეტელი, ხოლო პირველი მხატვარი – ირაკლი გამრეკელი...

„აბესალომ და ეთერიც“, „დაისიც“, „ლატავრაც“ და ფალიაშვილის სხვა თხზულებებიც იმ როიალთან იქმნებოდა, რომელიც ახლა მისი სახლის ერთ-ერთ ოთახში დგას. ამავე ოთახში იდგა თურმე მისი საწოლიც, რომელშიც უკანასკნელი

დღეები გაატარა. როიალის პირდაპირ მისი სამუშაო მაგიდა დგას – ზედ დირიჟორის ჯოხებით, სამელნით და მისი კუთვნილი სხვა ნივთებით. ვიქტორია სირაძე მოგვითხრობს:

„ეს „შრედერის“ ფირმის როიალია. როდესაც 1903 წელს ფალიაშვილი მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე მდებარე მუსიკალური ინსტრუმენტების მაღაზიაში შეიძინა ეს როიალი ვალის შემდგომი გადაფარვით, რადგან საკმაოდ ძვირი ღირდა, მას კი ამის ფული არ ჰქონდა. როგორც გადმოცემით არის ცნობილი, ამ ვალის გასტუმრებაში მას ძმები ზუბალაშვილები დაეხმარნენ“.

ბაქარია ფალიაშვილის სახლში დღესაც ინახება მისი კუთვნილი ფრაკი, რომელიც დირიჟორობის დროს ეცვა. იქვეა მისი საფულე, თმის საკრეჭი, სათვალე და სხვა პირადი ნივთები. მაგიდაზე ფალიაშვილების ოჯახის სამოვარი დგას, კარადაში კი მათი კუთვნილი ვერცხლის ჭურჭელია.

მუზეუმში გვაქვს საკმაოდ ლამაზი და ნიჭიერი მომღერლის, ნადეჟდა ბუზოლლის ფოტო. სწორედ ეს ქალბატონი მოიაზრება ბატონი ბაქარიას მუზად, რომელსაც მიუძღვნა ოპერა „დაისი“, „ლატავრა“ და სხვა მრავალი რომანსი.